პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
პარასკევი
31
დეკემბერი
№ 307
(16737)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР



Дგება საიუბილეო 1977!

გ. ლომიძის პლაკატი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პატრიოტულ თაოსნობას— საყოველთაო მხარდაჭერა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება გამოზამთრების პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაზრდელად კიევის ოლქის მეცხოველეთა ინიციატივის პასუხად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილის მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში განსახორციელებელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1976 წლის 27 დეკემბერს „პრავდაში" გამოქვეყნებულ კიევის ოლქის მეცხოველეთა წერილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი და ამ წერილზე ლეონიდ ილიას-ძის პასუხს უდიდესი მამობილიზებელი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოფლის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კიევის ოლქის მეცხოველეთა მოწოდება,—გამოძახილნონ და აამოქმედონ ყოველი მეურნეობის შინაგანი რეზერვები, ყოველი ღონე იხმარონ, რათა ამ ზამთრის პერიოდშივე მიაღწიონ პროდუქციის მაქსიმალურ მატებას ფერმებში, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გაზრდას, შექმნან სიმაქსიმალურ მარაგისმეტი მეათე ხუთწლედის დარგის დინამიკური განვითარებისათვის, მნიშვნელოვნად გაზარდონ 1977 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვა,—მოწმობს სოფლის მშრომელთა მაღალ პატრიოტიზმს, ადასტურებს, რომ მათ ღრმად ესმით სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი, მეცხოველეობის განვითარების დაჩქარების ამოცანის მნიშვნელობა, და ეს გვისახავს სიამაყის გრძნობას ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობისათვის.

კიევის ოლქის მეცხოველეთა ინიციატივა, მათი მიმართვა ქვეყნის ფერმების ყველა მშრომელისადმი მკაფიოდ მოწმობს, რომ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლის მოწინავე მიჯნებზე იყვნენ და არიან ადამიანები, რომელსაც სრულად აქვთ შეგნებული ამის პასუხისმგებლობა, რომ უცილობლად შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ, რაც პარტიის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ, სახალხო ამოცანად მიჩნია. ამასთან პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცხოველეობის განვითარებას, ვინაიდან ამ დარგმა სულ უფრო სრულად უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები ხორცზე, რძესა და სხვა საჭირო სურსათსახოვაგზე.

კიეველი მეცხოველენი თავიანთ წერილში იუწყებიან, რომ ფერმების მუშაკებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ტულელ მერძეველების ოსტატთა თაოსნობას. ტულის ოლქის ნოვომოსკოვსკის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავთა მოწოდებას — გააჩაღონ შეჯიბრება ზამთრის პერიოდში რძისა და ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გასაღიდებლად, — მხარი დაუჭირეს საქართველოს მეცხოველეებმაც.

ამ ინიციატივას პირველთა შორის გამოეხმაურნენ გაგრის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჯიშთასაწინააღმდეგო საბჭოთა მეურნეობის მერძევეობის ფერმის მუშაკები. ფერმაში მომუშავე თექვსმეტი მწველავიდან ცხრამ ვალდებულება იკისრა, რომ წლის ბოლომდე მისთვის მიმაგრებულ ყოველ ძროხაზე მიიღებს 5.000 კილოგრამამდე მეტ რძეს, ხოლო ყველა მწველავმა მიიღო ვალდებულება, რომ თავის ჯგუფში დაამზადებს 100 ტონა რძეს, მაშინ როდესაც გასულ წელს ხუთი ათასიანი მიჯნის გადალახვა შეძლო მხოლოდ ხუთმა მწველავმა, ხოლო 100-ტონიანისა — ცხრამ. მთლიანად ფერმაში ყოველ საფურაქე ძროხაზე მიიღებენ სულ ცოტა 4.750 კილოგრამამდე რძეს, რაც შარშანდელზე 187 კილოგრამით მეტია. ხოლო მოწინავე მწველავები — მანქანური წველის ოსტატები — ყოველ ძროხაზე 5.200-5.700 კილოგრამ რძეს მიიღებენ.

იმის გამო, რომ გაგრელმა მეცხოველეებმა ხბორების მიღების დრო ძირითადად დეკემბერ-მარტისათვის დაგეგმეს, წველადობა გასულ ზამთრობასთან შედარებით 15 პროცენტით გაიზრდება, რის შედეგადაც ყოველ ძროხაზე მიიღებენ 2.500 კილოგრამ რძეს, ანუ 250 კილოგრამით მეტს წინა წლის ზამთრის თვეებთან შედარებით.

გაგრის ჯიშთასაწინააღმდეგო საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და სპეციალისტებმა ყველა ოპერატორ მწველავს, მესაჭონლეს, მეხბორეს, ზოოვეტსპეციალისტს მოუწოდეს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა ყოველმხრივ აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაზარდონ ზამთის ნაყოფიერება, რაციონალურად ხარჯონ საკვები და ამ ზამთარს მშრომელებს მისცენ რაც შეიძლება მეტი რძე და ხორცი.

პირუტყვის ზამთრობის ორგანიზაციული მოწყობისათვის მეტი ნაწილისა და წონანამატის მიღებისათვის დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს წითელწყაროს, გურჯაანის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, აბაშის, გორისა და სხვა რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, ფერმების სპეციალისტებმა და მშრომელებმა.

ამასთანავე რესპუბლიკის მეცხოველეობის დამკვრელური ფრონტის მეწინავეებთან ერთად კერკიდევ არიან მეურნეობანი, რომელთა ხელმძღვანელები ურიგდებიან ძროხის დაბალ პროდუქტიულობას, მცირე წონა-მატებასა და სარეალიზაციო პირუტყვის

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს სახალხო ნოგათეგი

დიდი გამარჯვება ენგურჯე

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა ვადამდე, 28 დეკემბერს შეასრულა წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 49,47 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნაცვლად წლის განმავლობაში შესრულებულია 50,1 მილიონი მანეთის სამუშაოები.

ჰიდროსადგურის მიწისქვეშა შენობაში „სპეციჰიდროენერგომონტაჟის" სპეციალისტებმა დაიწყეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ტურბინის სტატორის აწყობა.

მომდინარე წლის სამუშაოთა პროგრამის შესრულების დროს წარმატებას მიაღწიეს მაღლივი კაშხალის, სადაწნეო-სასადგურე კვანძის, სამოქალაქო საბინაო მშენებლობის, მექანიზებულ სამუშაოთა სამშენებლო სამმართველოებმა, საკავშირო გაერთიანება „ჰიდროსპეცმშენის" ენგურის სამმართველომ და „საკლიუტმონტაჟმა", აგრეთვე „ენგურჰესმშენის" სამრეწველო საწარმოებმა.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს „კაშხალმშენის" მეტონეთა გ. ხელაიას, „გვირაბმშენის" გვირაბგამყვანთა გ. ჯახაიას ბრიგადებმა, სადაწნეო-სასადგურე კვანძის ი. ლატარიას კომპლექსურმა ბრიგადამ, ბელაზ-540-ის მძღოლთა გ. გ. ემუხვარის ბრიგადამ, ექსკავატორთა მემანქანეების ი. მაკარჩუკის ბრიგადამ, სამოქალაქო საბინაო მშენებლობის ვ. მიქავას კომპლექსურმა ბრიგადამ, სტენიოთა საბაგირო გზის ექსპლოატაციის შ. შაკაშვილის ბრიგადამ.

ამ დღეებში მშენებლობაზე ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ასამუშავებელი ობიექტების სამუშაოთა ვადამდე შესრულებისათვის.

(საქინფორმი).

(დასასრული მე-2 გვ.)

გაზეთ „პრავდის" რედაქციას

70 წლისთავთან დაკავშირებით ჩემს სახელზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, „პრავდაში", სხვა გაზეთების, ჟურნალების რედაქციებში, ტელევიზიასა და რადიოში მოვიდა ბევრი მოლოცვა და მისალმება, რომლებშიც პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, შრომითი კოლექტივები, მოძმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობა, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სახელმწიფოების სახელმწიფო მოღვაწენი და ცალკეული მოქალაქენი ყოველივე საუკეთესოს მისურვებენ. სამწუხაროდ, შესაძლებლობა არა მაქვს ვუპასუხო თვითეულ წერილს, დეპეშას ცალ-ცალკე. ამიტომ „პრავდის" ფურცლებზე მინდა სულითა და გულით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ დღეებში მეგობრული სიტყვებით მომმართა.

მე დადად გამახარა პირადად ნაცნობი თუ უცნობი ამხანაგების მისალმებამ, რომელთა გვერდით როგორც იტყვიან, მხარდამხარ მივლია ომის ხანგრძლივი ოთხი წლის ან მიშრომია პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მშენებლობის ფრონტებზე.

ჩემთვის მეტად ძვირფასია ქარხნების, სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების კოლექტივებისაგან, ჯარის ნაწილების პირადი შემადგენლობისაგან მიღებული წერილები. მთავარი, რაც ამ წერილებში შთამაგონებს, რაც მმატებს მხნეობას, ძალ-ღონეს, განუწყვეტელი შრომის სურვილს, — ის არის, რომ ისინი იწონებენ და მტკიცედ უჭერენ მხარს კურსს, რომლითაც მიდის პარტია, მისი XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც წარმოადგენენ მთელი პარტიის, მთელი ხალხის მუშაობის პროგრამას კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე.

მშრომელი ადამიანების ასეთი მხარდაჭერა ბევრ რამეს გვავალებს. იგი გვავალებს კიდევ უფრო საღად შევაფასოთ წარმატებანი, უფრო უკეთ დავინახოთ იმის უდიდესი მოცულობა, რაც უნდა გავაკეთოთ, კიდევ უფრო სრულად გავითვალისწინოთ ჩვენს გეგმებსა და მოქმედებაში მილიონობით მშრომელის საარსებო ინტერესები და მოთხოვნილებანი.

ხულითა და გულით ვუძღვნი მადლობას ყველა მეგობარს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში, ყველა ამხანაგ კომუნისტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, იმპერიალისტური ჩაგვრისა და აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ყველა მებრძოლს. მათ მისალმებებსა და მოლოცვებს სხვანაირად ვერ შევაფასებ, თუ არა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის მოწონებად და მხარდაჭერად.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მომაჩნია გულწრფელი მადლობა გადავუხადო უცხოეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, საზღვარგარეთელ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებმაც 70 წლისთავი მომილოცეს. საჭიროდ მომაჩნია ამასთან დაკავშირებით კვლავ ხაზგასმით აღვნიშნო: საბჭოთა კავშირი, რომლის მნიშვნელოვანი, კონსტრუქციული როლი მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხებზე საერთაშორისო მშვიდობის აშენებაში დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, კვლავაც აპირებს ყველაფერი იღონოს, რათა დაძაბულობის შენელების პროცესი გაღრმეს, როგორც ჭეშმარიტად უნივერსალური, ისე ჭეშმარიტად შეუქცევადი.

საბჭოთა კომუნისტისათვის არა არის რა იმაზე დიდი სიხარული, ვიდრე შეგნება, რომ მისი შრომა ერწყმის რა მისი ამხანაგებისა და თანამოქალაქეების შრომას, ხელს უწყობს იდეებისა და მიზნების განხორციელებას, რომლებიც წარწერილი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროშაზე. სწორედ ამიტომ, ისევე როგორც იმ ღირსშესანიშნავ დღეს, როცა გადმომეცა გმირის მეორე ოქროს ვარსკვლავი, როცა გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის მისალმება, — კიდევ და კიდევ მინდა აღვნიშნო: მთელი ჩემი ცხოვრება განუყრელად დაკავშირებულია პარტიასთან, მას ვუმადლი ყველაფერს, მას ვახმარდი და კვლავაც მოვახმარ მთელ ჩემს ცოდნას, ჩემს გამოცდილებას, ჩემს ძალ-ღონეს — ყველაფერს, დაუშურებლად. და, ვფიქრობ, ეს უფლებას მაძლევს ყველაფერი, რაც ჩემი მისამართით ითქვა იუბილეს გამო, მთლიანად მივაკუთვნო პარტიას, ლენინის მიერ შექმნილ პარტიას, რომელიც გულდაჯერებით მედის ლენინის გზით, მეთაურობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას ლენინის წინასწარდასახულობათა შესაბამისად.

ლ. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი

ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველის ჯ. კინგსბერი-სმიტის კითხვებზე

კითხვა: რას ეტყოდით ამერიკელ ხალხს ახალი წლის გამო?

პასუხი: საბჭოთა ადამიანებისათვის მომავალი წელი საიუბილეო იქნება. ეს არის მესამოცე წელი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობისა, რომელიც განთქმული ლენინური „ზავის დეკრეტის" ნიშნით იშვა, და, რა თქმა უნდა, ამ წელი აღინიშნოს ახალი დიდი ნაბიჯებით მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, მშვიდობიანი თანაარსებობის — სახელმწიფოთა ურთიერთობაში ერთადერთი გონივრული, ერთადერთი მისაღები ნორმის შემდგომი დამკვიდრების გზაზე.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ჩვენს ორ ქვეყანას, რომლებიც საოად მოქმედებენ და ითვალისწინებენ თავიანთ პასუხისაგებ მდგომარეობას თანამედროვე მსოფლიოში, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მშვიდობის საქმეში და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებაში.

მოხარული ვარ, რომ მომეცა შემთხვევა, რათა ამერიკის მოქალაქეების გულითადი საახალწლო სურვილები გადავცე ჩემი სახელით და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სახელით.

კითხვა: როგორია, თქვენი აზრით, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობით შეუძლიათ განახორციელონ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს 1977 წელს საყოველთაო მშვიდობისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებისათვის?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენს სახელმწიფოებს ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ, შევეხები მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს: ჩვენ ამის მომხრენი ვართ, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრდეს მუშაობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებაზე სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ამ მორიგების საფუძველზე, რომელსაც 1974 წელს ვლადივოსტოკში მივაღწიეთ. ჩვენი მხრივ არ ყოფილა, და არც იქნება რაიმე დაბრკოლება ამ საქმეში, რომელიც მთელ კაცობრიობას შეეხება. საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება, უეჭველია, ახლა მეტად დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა გამალებული შეიარაღების ეფექტიანი შეწყვეტის გზაზე. ამ ამოცანის გადაწყვეტა ყველაზე უშუალოდ ჯრის დაკავშირებული თანამედროვეობის მთავარ ამოცანასთან — არ დავუშვათ ატომური ომი. და, პირიქით, შეთანხმების დადების გაჭიანურება ისეთ პირობებში, როცა გრძელდება კიდევ უფრო საზარელი სახეობებისა და სისტემების იარაღის შემუშავება, შეიძლება ახალი საფრთხე შეექმნას მშვიდობას, საერთაშორისო სტაბილურობასა და უშიშროებას. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის ჯ. კარტერის ამასწინანდელ განცხადება მოწმობს, ამ საკითხის აქტუალობის გაგებას ამერიკის მხარეც იჩენს. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამას მალე მოჰყვება წარმატება.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ჩვენ, საბჭოთა კავშირში, გვაკვირვებს დასავლეთის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ნატოს სხვა ქვეყნების, ზოგიერთი წრის პოზიცია. ისინი ისე იქცევიან, თითქოს უკანასკნელი წლების მანძილზე არაფერი არ მომხდარიყოს, არაფერი არ შეცვლილიყოს, და მსოფლიო კვლავაც „ცივი ომის" მდგომარეობაში იყოფებოდეს. ისინი ზედიზედ აჩაღებენ მყვირალა კამპანიებს, თითქოს ძლიერდებოდეს საბჭოთა კავშირის მხრივ „საშხედრო მუქარა", მოითხოვენ ახალ-ახალ სამხედრო ასიგნებებს, აჩქარებენ გამალებულ შეიარაღებას.

ჩვენ ეფიქრობთ, რომ საქმე ასე არ უნდა გაგრძელდეს. რაკი პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას მივაღწიეთ, იმის გზაც დავსახეთ, რომ ნამდვილად მოკიდოთ ხელი შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების კარდინალური საკითხების გადაწყვეტას. მინდა ერთხელ კიდევ გარკვევით დავადასტურო: საბჭოთა კავშირი არავის არ ემუქრება და არავის არ უპირებს თავდასხმას. თავი მითიური მუქარით კი არ უნდა მოვიტყუოთ, არამედ საქმიანად, კონსტრუქციულად განვიხილოთ აქ არსებული პრობლემები და შესაძლებლობანი. და არ შეიძლება გამალებული შეიარაღების გაგრძობა იმით გავამართლოთ, თითქოს შეზღუდვა სარისკო იყოს ეროვნული უშიშროებისათვის. დღეს საყოველთაო უშიშროებისათვის გაცილებით მეტად სარისკოა უმიქმედობა, ის, რომ დაუოკებელ გამალებულ შეიარაღებას განგრძობის საშუალება მივცეთ.

ჩვენ ძალიან გვინდა, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში 1977 წელი ნამდვილად გარდატეხის წელი გახდეს. მაშინ, იგი, უეჭველი, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ისტორიაში.

კითხვა: მიესალმებოდით თუ არა. შესაძლებლობას, რომ ოაღნოს ხანში, 1977 წელს ორივე მხარისათვის სასურველ ადგილას ამერიკის ახალ პრეზიდენტს შეხვდეთ?

პასუხი: პრაქტიკამ, მათ შორის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობამაც, ცხადყო, თუ რაოდენ სასარგებლო და ნაყოფიერია უმაღლესი დონის შეხვედრები, როცა მისი თვითეული მონაწილე კონსტრუქციულ, საქმიან დიალოგს ესწრაფვის, ამიტომ არის, რომ მხარს ვუჭერთ ასეთი პრაქტიკის განგრძობას. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგი შეხვედრის დრო, რა თქმა უნდა, ურთიერთშეთანხმებით და შესაბამის საკითხებში წინასწარ მოსამზადებელ ინანისაზღვრება.

დასასრულ მინდა გავიმეორო ის, რაც სკკპ XXV ყრილობაზე ვთქვეთ: ჩვენს ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების კურსი, რაც ამერიკელი და საბჭოთა ხალხების ინტერესებს, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს შეესაბამება.

(დასასრული მე-2 გვ.)

შესანიშნავი შრომითი გამარჯვება

სამშენებლო, სამონტაჟო და საპროექტო ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, ავტომობილმშენებლებს, მანქანათმშენებელი და მეტალურგიული ქარხნების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის საწარმოების კოლექტივებს, კამის საავტომობილო კომბინატის მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

სულითა და გულით გილოცავთ შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — კამის დიდტვირთიანი ავტომობილების ქარხნების კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას. არსებითად მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა ახალი დიდი საავტომობილო ქარხანა, რომელიც წელიწადში 75 ათას დიდტვირთიან ავტომანქანასა და 115 ათას დიზელის ძრავას გამოუშვებს. თქვენს დიდი შრომითს გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიის XXV ყრილობამ წამოაყენა ეკონომიკის განვითარებისათვის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და ამ საფუძველზე საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის.

მოკლე დროში აღმართულია ყველაზე თანამედროვე მაღალმწარმოებლური მოწყობილობით აღჭურვილი უნიკალური ქარხნის კორპუსები, შექმნილია კარგი საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები ავტომობილმშენებელთა შთაგონებელი, შემოქმედებითი შრომისათვის. მშენებლობის მასშტაბითა და ტემპით კამის საავტომობილო ქარხანა უბადლოა საბჭოთა და მსოფლიო პრაქტიკაში.

გამაღლეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად, მშენებლებმა, მემონტაჟეებმა, ავტოქარხნელებმა ჭეშმარიტად გმირული მუშაობა გასწიეს — ყრილობისწინა დღეებში ქარხნის მთავარ კონვეიერზე დაიწყო ავტომობილების სერიული გამოშვება. თქვენ სამართლიანად შეგიძლიათ იამაყოთ იმით, რომ ამ მანქანების გამოყენება ტრანსპორტზე, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში მოწმობს მათ მაღალ მწარმოებლობას, სიმდედრობასა და ეკონომიურობას.

თქვენი წარმატებანი იმის შედეგია, რომ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მრავალათასეული კოლექტივი თავდადებით, დიდად ნაყოფიერად შრომობდა, რომ ფართოდ განვითარდა სოციალისტური შეჯიბრება, შემოქმედებითად იქნა გამოყენებული სამრეწველო ობიექტების ჩქარსოსნული აგების მოწინავე გამოცდილება, მშენებლობის პროგრესული საპროექტო გადაწყვეტები და ინდუსტრიული მეთოდები, დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწიეს თათრეთის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ, აგრეთვე კამის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის მონაწილე კოლექტივების ყველა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ.

ამ საერთო-სახალხო მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა მშრომელებმა, რაც კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მოწმობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობასა და ურღვევ მეგობრობას. თანამედროვე მოწყობილობით კამის საავტომობილო ქარხნის აღჭურვაში წვლილი შეიტანეს მთელი რიგი მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმაც.

მაღალ შეფასებას იმსახურებს ათიათასობით ქალაქელისა და ჭაბუკის შრომითი გამარჯვება, რომლებიც კომკავშირის მოწოდებამ და მგზნებარე გულისთქმამ ჩამოიყვანა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობად გამოცხადებულ კამის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე.

კამის საავტომობილო კომბლექსი და მასთან ერთად მშენებარე ახალი ქალაქი ნაბერეჟნე ჩელნი, რომელიც საბჭოთა ქალაქმშენებლობის უკანასკნელ მიღწევად შეესაბამება, სოციალისტური ეკონომიკის დინამიკური ზრდის, ჩვენი ადამიანების უნარისა და ნიჭის აყვავების, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულ დიდ წარმატებათა და გამარჯვებათა შთამბეჭდავი მაგალითია.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ამ ჭეშმარიტად გმირული მშენებლობის მონაწილენი, რომელთა გარჯითა და ნიჭით იქმნება საავტომობილო გიგანტი, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და შეძენილ გამოცდილებას მოახმარენ მშენებლობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომ ამაღლებას, მწყობრში ჩაყენებულ სიმძლავრეთა უსწრაფეს ათვისებას, 1977 წლისათვის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის აღსანიშნავად ნაკისრი მაღალი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, კამის საავტომობილო კომბლექსის მეორე რიგის ამოქმედების დაჩქარებას.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გავა წლები, მაგრამ ყველა საბჭოთა ადამიანი სიამაყით მოიგონებს თქვენს შრომითს გმირობას.

გულთად მადლობას მოგახსენებთ ჩემი იუბილეს გულთბილი მოლოცვისათვის. გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წელს დიდ წარმატებებს შრომაში ჩვენი საშობლოს საკეთილდღეოდ, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!

ლ. ბრეჟნევი.

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

30 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა პარტიის, სამოქალაქო ომის, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანთა ჯგუფთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ დამსწრეთ გააცნო მეათე ხუთწლედის პირველ წელს გაწეული მუშაობის შედეგები, 1977 წლის გეგმები, ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს XXV ყრილობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს სახელით ამხ. შევარდნაძემ დამსწრეთ მიულოცა დამდეგი ახალი წელი, უსურვა მათ ჯანმრთელობა, წარმატებანი მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმიანობაში.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები ა. დ. გიორგაძე, ვ. ი. კაკაბაძე, დ. ვ. ლომაძე, ი. ზ. მონიავა, ვ. კ. ნადარეიშვილი, კ. მ. ჭოჩიაშვილი, ს. ბ. ხასაია, ა. ვ. ჯაფარიძე, საბჭოთა კავშირის გმირი ი. კ. იოსელიანი, სოციალისტური შრომის გმირი კ. მ. ელერიძე, გადამდგარი გენერალ-მაიორები ვ. ე. ზარელუა, გ. ვ. ყურაშვილი, გადამდგარი პოლკოვნიკი ს. ი. აბულაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანები ა. თ. მანგაკაძე, მ. დ. მთვრალაშვილი, ა. მ. მუსიევი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მეკნეიშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში ეწყობა შეხვედრები პარტიის, სამოქალაქო ომის, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან, პირველი ხუთწლედების გმირებთან.

(საქინფორმი).

საკადრისი ცნობა

მიეფრინავს „მოლნია-3"

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1976 წლის 28 დეკემბერს საბჭოთა კავშირში მაღალ ელიფსურ ორბიტაზე გაუშვეს კავშირის თანამგზავრი „მოლნია-3" საპორტო სატელრანსლაციო აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მუშაობას ტალღების სანტიმეტრული დიაპაზონით.

პატრიოტულ თაოსნობას — საყოველთაო მხარდაჭერა

(დასასრული)

ნაშუალო ჩასაბარებელ წონითს მონაცემებს, მათს დაბალ ნაკვებობას. მთლიანად რესპუბლიკაში კვლავ დიდია საკვებისა და შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე, მეცხოველეობის განვითარების ბაზ - სხვა მაჩვენებლის ზრდის ტემპი ვერ უზრუნველყოფს გასვლას იმ მიზნებზე, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა დაგვისახა.

საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კიეველ მეცხოველეთა ინიციატივას, დაავალა: საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციების პარტკომებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს შეისწავლონ კიევის ოლქის მეცხოველეთა წერილი და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი, რომელიც 1976 წლის 27 დეკემბრის „პრავდაში“ გამოქვეყნდა, გამოავლინონ ანალოგიური რეზერვები, რათა კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი ფერმების პროდუქცია ზამთრის პერიოდში, აამაღლონ პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, შექმნან საკმარისი მარაგამლები მეათე ხუთწლედში დარგის დაჩქარებით განვითარებისათვის, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ შესაძლებლობათა ასამოქმედებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა გაგრის ჯანთსანაშენი საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა ინიციატივა, რომ გამოზამთრების პერიოდში გაადიდონ მეწველი ნახირის პროდუქტიულობა, გაზარდონ მანქანური წველის იმ ოსტატთა რიცხვი, რომლებმაც რძის წარმოებაში 100-ტონიან და 5.000-კილოგრამიან მიჯნებს გადააბიჯეს.

პარტიულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საბჭოთა მეურნეობების დირექციებს, კოლმეურნეობათა გამგეობებსა და სამეურნეობათშორისო ორგანიზაციათა საბჭოებს წინადადება მიეცათ ყოველნაირად შეეწყონ ხელი და დაეჭირონ მხარი ამ შესანიშნავი თაოსნობის გავრცელებას, გამოიყენონ გამოზამთრების პერიოდში პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მორალური და მატერიალური წახალისების ყველა საშუალება.

უნდა განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, მუშა-მოსამსახურეების პირად მეურნეობებში გაემჯობესდეს პირუტყვის სულქების საქმე, მიეყიდოთ მათ გოუები და წიწილები გასაზრდელად და გამოსაკვებად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყველა ღონისძიება უნდა განახორციელოს, რათა 1977 წლის პირველი დღეებიდანვე მიაღწიოს პროდუქტიულობის იმ დონეს, რომელიც დასახული გვაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმისა და 1976 წლის III პლენუმის დადგენილებებით ხუთწლედის მეორე წელისათვის, — გავზარდოთ ძროხის საშუალო წველადობა 1.710 კილოგრამამდე, მოქალაქეთა საშუალო ყვრცხმდებლობა — 181 ცალამდე, ცხვრის საშუალო ნაპარსი — 2,9 კილოგრამამდე. ამ მიზნით, განუხრელი და სისტემატური კონტროლი უნდა გაეწიოთ საკვების ხარჯვას მეურნეობებში, რათა არც ერთი კილოგრამი ულუნი, წვნიანი და კონცენტრირებული საკვები არ ეძლოდეს პირუტყვს წინასწარ შუმშნადებადად. იყოს ყოველ ფერმაში საკვებგადასამუშავებელი ტექნიკის თუნდაც უმარტივესი კომპლექსი, ფართოდ გამოიყენონ ულუნი საკვების თერმოქიმიური დამუშავება, სპეციალური დასილოსება, ულუნველყონ სრულფასოვანი საკვებნაზავების გამოსაშვებ და გრანულების საწარმოო საკვების საამქროების შეუფერხებელი მუშაობა.

1977 წელს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს: 900 ათასი ტონა სენაჟი, 560 ათასი ტონა თივა, 470 ათასი ტონა სხვა ულუნი საკვები, 860 ათასი ტონა სილოსი, 140 ათასი ტონა ძირხვენები, 36 ათასი ტონა ბალახის ფქვილი, 200 ათასი ტონა საფუარიანი მარცვალი, აქედან 5 ათასი ტონა სოია.

უნდა გაორმაგდეს მეცხოველეობის სპეციალიზაცია-კონცენტრაცია სამეურნეობათშორისო კოოპერაციის ბაზაზე. გეგმაზომიერად განხორციელდეს თირმების რეკონსტრუქცია და კომპლექსური მექანიზაცია, ამასთან არ იქნეს დაშვებული არასპეციალიზებულ მეურნეობებში ხორცისა და რძის წარმოების უსაფუძვლო შემცირება;

უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს პირუტყვის ბაგური და საიალაღო სუქნების ინტენსიური მეთოდები, კონცენტრირებულ იქნეს ჩხვილფეხარქიანი პირუტყვის მოზარდეულის მოვლის საქმე მეურნეობათა და სამეურნეობათშორისო საწარმოთა სპეციალიზებულ სასუქებელ მოედნებზე, მოეწყოს პირუტყვის სრულფასოვანი კვება ამ ანგარიშით, რომ დასაფლავად ჩაბარდეს 1,5-2 წლის პირუტყვი. რომლის ცოცხალი წონა სულ ცოტა 250-300 და მეტი კილოგრამი იქნება.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს დაეკალა ოზრუნველყოს, რომ: კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მეურნეობათშორისო ორგანიზაციებმა შეუფერხებლად მიიღონ პირუტყვისა და თრინველის სხვადასხვა ჯაფუთისათვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი კომბინირებული საკვები ისეთი მოცულობითა და ასორტიმენტით, რაც დათვალისწინებულია 1977 წლის პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმით, გიგმის ოამატებით კი 10 ათასი ტონა, ხოლო სულ 1977 წლის ბამოოშვან 700 ათასი ტონა კომბინირებული საკვები, 20 ათასი ტონა ჯარბამდის კონცენტრატი, 1,6 ათასი ტონა პრემიქსები.

საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცეთ ულუნველყონ გამოზამთრების პერიოდში დიდი ნაწილისა და წონამატებისათვის მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ალმავლობა, გამოიყენონ სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა საშუალება, რათა პოპულარიზაცია გაუწიონ ფერმების საუკეთესო მშრომელებს, მათ შორის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების გამოცდილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს დაეკალათ ფართოდ გაშუქონ, თუ როგორ მიმდინარეობს მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება ზამთრის პერიოდში მაქსიმალური პროდუქციის მიღებისათვის, პრომაგანდა გაუწიონ მითითებებსა და რჩევა-დარიგებებს, რომლებიც მოცემულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საპასუხო წერილში კიევის ოლქის მეცხოველეებისადმი, მხარი დაუჭერონ და გააკრცელონ გაგრის ჯიშთსანაშენო საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეთა და სპეციალისტთა გამოცდილება.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაეკალათ 1977 წლის 1 მაისამდე აცნობონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს პირუტყვის გამოზამთრების შედეგები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აღნიშნულ პერიოდში პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

(საქინფორმი).

ეს ამშენდა 1976 წელს

ალითო რიონის ახალი ჩირაღდანი

ამუშავდა ვარციხის კასკადის პირველი ელექტროსადგური



გუშინ, 30 დეკემბერს, დიდი ზეიმი ჰქონდათ ვარციხეს მშენებლებს — მწყობრში ჩადგა და სამშობლოს პირველი სამრეწველო დენი მისცა ვარციხის კასკადის პირველმა ელექტროსადგურმა, რომლის სიმძლავრე 46 ათასი კილოვატია. ამრიგად, მდინარე რიონზე სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩადგა მეოთხე ჰიდროჩირაღდანი.

აქაურ მშენებელთა (სამმართველოს უფროსი ო. ჭინჭარაული, პარტიული კომიტეტის მდივანი ჯ. ბიბლეია) თავდადებული შრომის ნათელსაყოფად ასეთი ფაქტებიკმარი: შესრულდა 4,4 მილიონი კუბური მეტრი მიწის, 213 ათასი კუბური მეტრი ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოები, დამონტაჟდა 2.420 ტონა რკინის და 14 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები.

სათავე ნაგებობისა და № 1 ჭესის აღჭურვის საქმეში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანეს ლენინგრადისა და ხარკოვის, კრასნოიარსკისა და ჩიხოვის, ბაქოსა და ერევნის სხვადასხვა ქარხნის კოლექტივებმა, რომლებმაც მშენებლებს დროულად დაუმზადეს და მიაწოდეს ძვირფასი დანადგარ-მოწყობილობა. მშენებლებს თავისი მდიდარი გამოცდილება გაუზიარეს და ამით დიდი დახმარება გაუწიეს რუსეთიდან, უკრაინიდან და ბალტიისპირეთიდან ჩამოსულმა მემონტაჟეებმა.

განსაკუთრებული ქების ღირსია სპეციალიზებულ მონტაჟის ის უბანი, რომელსაც ბ. გაგანოვი ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა ყველაფერი იღონა, რომ აგრეგატები დროულად და ხარისხოვნად დაემონტაჟებინა, უზრუნველყო ჰესის დროული ამუშავება.

როგორც ცნობილია, ჰესის ამოშავება ძირითადად ნაგებობაზე იყო დამოკიდებული. მის მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს ვარციხეს მშენებლობის სამმართველოს № 4 უბნის (უფროსი ი. ტაბიძე) მშენებლებმა, მათ შორმატეკეადი სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულეს და ნაგებობა დროულად მოამზადეს საექსპლოატაციოდ. იმ კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ოქტომბრის რეოლუციის ორდენის კავალერი შ. ბერაია ხელმძღვანელობს, მინდობილი ყველა სამუშაო მაღალხარისხოვნად შეასრულა. ბრიგადის წევრები — შემდეგებელი რ. ქაჯაია, დურგალი ნ. ხეცურიანი და სხვები მშენებლის ორ-სამ პროფესიას ფლობენ. მათ მხარში უდგნენ მებეტონეები გ. ჯიჭინაძის ხელმძღვანელობით.

№ 3 უბნის (უფროსი ზ. ქარსელაძე) მშენებლებმა, რომლებიც ძირითადად საცხოვრებელ ბინებს აგებდნენ, ჰესის მშენებლობის ბოლო ეტაპზე დამკვრელურ ობიექტს მიაშურეს. თავი გამოიჩინეს შ. ხაბულიანის, ჯ. ნამოევაძის და ზ. ზარნაძის კომპლექსურმა ბრიგადებმა, სამუშაოთა მწარმოებლებმა გ. არჩვაძემ, ზ. როდონაიამ და სხვ. მშენებლებს დიდი დახმარება გაუწიეს ქუთაისის № 3 ავტოტრესტის № 4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლთა ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი ზ. გელაშვილი ხელმძღვანელობდა.

და აი დადგა საზეიმო წუთები. ზეიმზე მოვიდნენ ვარციხეს მშენებლები, ქუთაისის და წყალტუბოს მშრომელები, სტუმრები ენგურჰესიდან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან, დედაქალაქიდან.

სახელდახელო საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა თ. ვაშაკიძემ.

სიტყვა იქლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამბ. ზ. ჩხეიძეს.

მან გულთბილად მიესალმა საქართველოს ენერგეტიკოსებს ეს დიდი გამარჯვება და ახალი წარმატებები უსურვა ვარციხის კასკადის მომდევნო ელექტროსადგურების მშენებლობაში.

მშენებელთა სახელით სიტყვას ამბობენ ვარციხეს მშენებელ სამმართველოს უფროსი ო. ჭინჭარაული, მშენებელი მუშა ტ. ცაბაშვილი, შემდეგ გამოდიან: საქართველოს ალკკ წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ჭორქაშვილი, გეგუთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ჯ. დემეტრაძე, სპეციალიზებული ელექტრომონტაჟის ამიერკავკასიის უბნის უფროსი ბ. ბაკანოვი, წყალტუბოს პოლიკლინიკა-პანსიონატის „სავანეს“ მთავარი ექიმი გ. ჭავჭანიძე, საქგუმარინის მაღაროთა სამმართველოს უფროსი ლ. გურგენიძე, რაიონ-ჰესის კასკადის მთავარი ინჟინერი გ. კუპრავა, პროექტის მთავარი ინჟინერი გ. მნაცაკანიანი.

მიტინგის მონაწილეებმა მისალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

სამშობლოვ, მეათე ხუთწლედის პირველი წლის ეს დიდი საახალწლო საჩუქარი!

დ. გედენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ვარციხეს კასკადის პირველი საადგურის კაშალი; ქვემოთ — მონწინავე ბრიგადების ხელმძღვანელები გ. ჯიჭინაძე, შ. ბერაია და ნ. ხეცურიანი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩუოწლედის ადამიანები

1. ორგანიზატორი და მეცნიერი



სოციალისტური შრომის გმირი ვასილ ძნელაძე

პორტრეტი შესრულებულია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის შოთა ჩაშვრიძის მიერ.

> რობორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის ამ დღეებში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს.
>
> დღეს ვაქვეყნებთ მწერალ შ. აკობიას ნარკვევს ერთ-ერთი მათგანის — ვასილ ძნელაძის საქმიანობაზე. უახლეს ნომრებში ჩვენი მკითხველი წაიკითხავს ნარკვევებს — ამირან ტორტოტაძესა და გიორგი ცერცვაძეზე.

ორ ფასდაუდებელ განძს — დროს და მიწას ადამიანები სხვადასხვანაირად იყენებენ. ამიტომაც საქმეში ჩახედულს შეუძლია ერთი დღის მანძილზე ძალიან ბევრი მოასწროს ისე, როგორც კარგ მეურნეს მოაკაცს ხოლმე ორი, ხანაც სამი მოსავალი! — აი ეს სიტყვები ბავშვობის დროიდან ჩამრჩა ხსოვნაში. შორიდან მოსულს უფრო გულმოდგინედ აკვირდებიან. ეს სიბრძნეც საუკუნეების სიღრმიდან არის მოსული და თუ დავაკვირდებით, არ შეიძლება ამაში არ დავინახოთ სულისკვეთება ქართველი გლეხკაცისა, რომელმაც იცოდა დროისა და მიწის ყადრი.

ჩემი თანამოსაუბრეა სახელოვანი ორგანიზატორი, ნოვატორი, მეცნიერ-მუშაკი, სოციალისტური შრომის გმირი ვასილ ძნელაძე. აქამდეც მრავალჯერ მისაუბრია, მასთან მაგრამ დაბადების წელი არასოდეს მიკითხავს, ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი ასე 40-45-ისა მეგონა და აგერ იანვარში დაბადების 58 წელს იზეიმებს თურმე. ესეც ვიცოდი, მარად უკვდავი ბორის ძნელაძის თანასოფელი იყო, დიახ, პავშვობა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბურნათში გაუტარებია, მაგრამ დაბადებულა კი თბილისში, სადაც მამამისი მუშაობდა ჯერ ამიერკავკასიის რკინგზაზე, შემდეგ შუშის ქარხანაში. განათლებაც თბილისის მე-6 საშუალო სკოლაში მიუღია. ჩემ შეკითხვაზე, როგორ მოხდა, რომ თბილისში გაზრდილმა ახალგაზრდამ მეცხოველეობა შეიყვარა. მან გაიღიმა, შემდეგ ჩაფიქრდა.

ჩაფიქრებული კაცი არასოდეს არ არის იქ, სადაც მას ხედავენ. შევატყე, ვასილ ძნელაძემაც წამიერი ჩაფიქრების დროს თავისი ბავშვობის ადგილები „მოინახულა“, რადგანაც საუბარში სწორედ ბავშვობა მოიგონა.

— პაპაჩემი მელიტონ ხახულის-ძე ძნელაძე განთქმული მეფუტკრე იყო, თანაც ენამკვევრი და, როგორც იტყვიან, ლხინის თავი. პირუტყვიც ფუტკარზე არანაკლებ უყვარდა და საკონლისადმი მზრუნველი დამოკიდებულება სწორედ მან ჩამინერგა. ბავშვობისას განსაკუთრებით მიყვარდა ხარი და ცხენი.

მიყვარდა ბაღნარი, ნაყოფით დახუნძლული ხე. რაგინდ დახრილიც არ უნდა იყოს, მაინც ტოვებს ამაყად მხარგაშლილის შთაბეჭდილებას... მაგრამ ყველაზე მეტად ფრინველი მიყვარდა, ნაირნაირი ჩიტუნები მყავდა გალიაში, ვეფერებოდი, გულმოდგინედ ვკვებავდი და ვცდილობდი, როგორმე „ჯიშიანი“ ჩიტი გამომეყვანა. ეს ის დრო იყო, როცა ქვეყნის დუხჭირ წარსულს მხოლოდ უფროსთა სიტყვებით ვიცნობდი და არა წიგნებიდან. აქამდე გულში ჩამრჩა ბაბაჩიკის ნაღვლიანი მოგონება საკუთარ წინაპარზე. პაპამისს თურმე ერთხელ ეთქვა: ჩემი დარდი ჩემზე უმცროსია, ის დაბადა, როცა მე თექვსმეტიოდე წლისა ვიყავი. მაგრამ ვაი, რომ ჩემზე ძლიერია! ამ სიტყვებში ჩანს რეგოლუციამდელი გურული გლეხკაცობის მთელი გულისტკივილი.

მართალია თბილისში დავიბადე, მაგრამ ბავშვობა სოფელ ბურნათში გავატარე და სწორედ იმ სიყვარულმა, რაც პაპისაგან ესტაფეტასავით მივიღე, მიბიძგა გამოესულიყავი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. შევედი თბილისის ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში. კომკავშირელი ჯერ კიდევ მაშინ გავხდი, როცა საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ხოლო ინსტიტუტში შესვლისთანავე კომკავშირის კომიტეტის წევრად ამირჩიეს. აქტიურად ვმონაწილეობდი სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში, სტუდენტობის დროსვე 1939 წელს მიმიღეს ლენინური პარტიის წევრად.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გამგზავნეს ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძაში, სადაც უბნის ზოოტექნიკოსად ვმუშაობდი. დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ გამიწვიეს სამხედრო სამსახურში და დავამთავრე ოფიცერთა სკოლა. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვამზადებდი ახალწვეულებს. 1944 წელს კი, როგორც სპეციალისტს, დამაკისრეს მუშაობა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამხმარე მეურნეობაში.

ომის დამთავრების შემდეგ ოლქის დამხმარე მეურნეობა გაუქმდა, მისი უბნები შეეერთდა საბჭოთა მეურნეობებს, ამის კვალობაზე სპეციალისტებიც განაწილდა და მუშაობა მომიხდა ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში.

1953 წლის აპრილიდან გადმომიყვანეს გაგრის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის უფროს ზოოტექნიკოსად, ხოლო 1954 წლის იანვრიდან დღემდე — აგერ 22 წლის მანძილზე აღნიშნული მეურნეობის დირექტორად ვმუშაობ.

ვასილ ძნელაძემ ჭაღარაზე გადაისვა ხელი და გაჩუმდა, თითქოს მანიშნა: აქ გავჭაღარავდი, ხოლო დანარჩენის თქმა მეუხერხულებაო. მთავარი კი სწორედ დანარჩენია.

ახალ დირექტორს ჩამორჩენილი, ზარალიანი მეურნეობა დახვდა. პირუტყვის საკვები ჩამოჰქონდათ კახეთიდან, რაც დიდ ხარჯებს იწვევდა. პირუტყვი იყო ადგილობრივი ჯიშისა და საშუალო პროდუქტიულობა 1200 კილოგრამამდე ძლივს აღწევდა. მეურნეობა არ იყო მექანიზებული, ცუდი მოვლა-კვებისაგან პირუტყვის დიდი ნაწილი დაავადებული იყო ტუბერკულოზითა და ბრუცელოზით. კურორტი გაგრა, რომელიც ყოველწლიურად ასიათასობით დამსვენებელს იღებდა, მარაგდებოდა სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოტანილი ხორცითა და რძის პროდუქტებით, აი ეს ჩამორჩენილი მეურნეობა, ორიოდე სანატორიუმის დამსვენებლებსაც რომ ვერ უმასპინძლებდა, ამჟამად იძლევა 861 ცენტნერ ხორცსა და 16.831 ცენტნერ რძეს ყოველწლიურად. 400 ძროხიდან თვითეულის საშუალო წლიური წველადობა 4.702 კილოგრამია. ეს მაჩვენებელი მართლაც რომ სასიხარულოა და საამაყო.

კარგი დასაწყისი ყოველი საქმის დროშაა, — ამბობს ვასილ ძნელაძე, მაგრამ კარგ დასაწყის წინ უნდა უძღოდეს მეცნიერულად აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილება, და აი, სწორედ აქ გამოჩნდა ჩვენი კოლექტივის დონე, ერთიანობა და დარაზმულობა. ადგილია წამოისროლო ასეთი ლოზუნგი: მეურნეობის გარშემო მოცდენილი 500 ჰექტარი მიწა, ზღვის დონეზე დაბალი და დაჭაობებული, გადავაქციოთ პირუტყვის საკვები მწვანე მასის წყაროდ!

ასეთი უჩვეულო მიზანი დღის წესრიგში აყენებს არა მარტო სამელიორაციო სამუშაოების მეცნიერულ დონეზე შესრულებას, არამედ თვით ნიადაგის შემადგენლობაში გარდატეხის შეტანას, მოითხოვს სახელმძღვანელო ცდების მთელ ციკლს სხვადასხვა სახეობის ბალახის ფარგისიანობის დასადგენად. მაგრამ კოლექტივმა წარმატებით გადაჭრა ეს ურთულესი ამოცანა.

აგრონომი სხვა თვალით უყურებს ბალახს, ფერმწერი და პოეტი კი სხვა თვალით. მე მთელი საათობით შემიძლია ვილაპარაკო სხვადასხვა ჯიშის ბალახზე, რომელთა ფესვი ჩამოვიტანე ან გამოვიწერე რუსეთიდან, ესტონეთიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან თუ სხვა ქვეყნებიდან, იცით, რამდენჯერ ჩამეყარა შრომა წყალში? მაგრამ მიზეზს ხომ ეს დაებედა ოდითგანვე, მოგვიანებით აღმოაჩენენ ხოლმე! ან ზოგჯერ რა შორიდან უნდა დაიწყო, რათა დასკვნამდე მიაღწიო.

მას შემდეგ, რაც ნაკაობარი საათობად გადავაქციეთ და 3-4 მოსავლის მიღება შევძელით, შევუდექით პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის სრულ შეცვლას. მევიხეტეობა ჩვენ ბევრ ადგილზე ... ნახეობაში ცნობილია, რომ ვაზის ზოგიერთ ჯიშს ზუსტად შემოფარგლული კლიმატური არეალი აქვს. ძროხის ჯიშიც ხშირად ასეთივე ჰირეეულობის წინაშე გვაყენებს. ცდების შედეგად კი მივიღეთ ახალი ჯიშის ძროხა, ამჯერად „ბიჭვინთური შავ-ჭრელის“ სახელით ცნობილი.

სამამულო მეცნიერების დიდი მონაპოვარია ის, რომ ეს ჯიში გამოყვანილია და მრავლდება ლაბორატორიული გზით. ჩვენი ძროხები, ე. წ. „უხორთუმო სპილოები“, რომელთაგან ზოგი სეზონში 7.000 ლიტრზე მეტ რძეს იძლევა, სწორედ ის ხიახლეა, მეცნიერებამ რაც ბუნებას დაუმატა.

ვასილ ძნელაძე დიდი მადლობით იხსენიებს მეურნეობის მოწინავე მწველავებს: თამარ ულეზკოს, სოციალისტური შრომის გმირს ეკატერინე ლეშვოვს, ნინო თურმანიძეს, ზინაიდა ობკოვას, მეურნეობის მთავარ აგრონომს ენგულ ითბიძეს, ზოოტექნიკოს მირიან ჯალაღონიას, ვალერი შავგულიძეს, საკვებმომამზადებელი ბრიგადის ხელმძღვანელს ანტონ იუშინშის.

— თუ მოწინავეთა სახელების ჩამოთვლას დავიწყებთ, სია ძალიან დიდი გამოვა, — ამბობს დირექტორი... ჩვენი მეურნეობა კომუნისტური შრომის ხაწარმოდ ითვლება, თანაც ეს არის სამეცნიერო ობიექტი და რომ არ ჩამოვრჩეთ ქვეყნის ყველაზე მოწინავე მეურნეობებს, ხაზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოვაყალიბეთ მეცხოველეობის უნივერსიტეტი, სადაც დეკანად ვმუშაობ.

მეცნიერებათა კანდიდატი ვასილ ძნელაძე ხუთი წიგნისა და საკავშირო თუ რესპუბლიკურ ყურნალებში გამოქვეყნებული მრავალი სტატიის ავტორია. მას მიმოწერა აქვს აკადემიკოს ვ. პ. ჩერკასოვთან, პროფესორ მ. მ. ლებედევთან, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ გ. პ. ეგოშინთან და სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან.

3. ძნელაძე არის საკავშირო სიმპოზიუმების მონაწილე, ლენინის ორდენისა და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი, დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით, არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარეგიონო კომისიის წევრი. მონაწილეობდა სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში, როგორც დელეგატი.

მაგრამ მისთვის ყველაზე სასახარული დღე იყო 27 დეკემბერი, როცა მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

დღეს ბიჭვინთაში შენდება მეცხოველეობის ახალი უნიკალური კომპლექსი, რომელიც მომავალი წლის მაისიდან მწყობრში ჩადგება. ეს არის ვასილ ძნელაძის გამოცდილებისა და მეცნიერული აზრის ხორცშესხმა. კომპლექსი იმდენად ნოვატორულია, თვით მეცხოველეობის მეკანიზაციის საქმეში ახალ დონეს ქმნის.

შოთა აკობია,

ბაბრა, „კომუნისტის“ სპეც. კორ.

მთელი გულის მგზნებარეობა — ხუთწლედის პროგრამის შესრულებას

საქართველოს კომკავშირი მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად დგას მეათე ხუთწლედის დამკვრელურ ვახტზე, იზეიმებს სოციალისტურ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის დასასრული შეხვედრისათვის. თავდადებულად იმუშაონ, იყვნენ შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების მაგალითი, იდგნენ მოწინავეთა რიგებში — ასეთია 4 ათასზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივის, 57 ათასზე მეტი ქალაშვილისა და ჭაბუკის მისწრაფება, რომლებიც შრომობენ მეათე ხუთწლედის მეორე და მესამე წლების ანგარიშში, 192 ათასი ახალგაზრდა მოწინავის მისწრაფება, რომლებიც მუშაობენ დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით“.

მთელ თავის საქმიანობაში საქართველოს კომკავშირი განუხრელად ხელმძღვანელობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში წამოყენებული დებულებებითა და ამოცანებით, მიაჩნია ისინი საბრძოლო პროგრამად.

კომკავშირული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული დებულებები, დასკვნები, ამოცანები, პლენუმის გადაწყვეტილებანი და დოკუმენტები გაიცნოს ახალგაზრდობის ფართო მასებს, მოაწყოს მათი გაღრმავებული შესწავლა ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში თვითეული კომკავშირელის, ახალგაზრდის მიერ, დარაზმოს ქალაშვილები და ჭაბუკები შრომამი ახალი წარმატებებისათვის.

ამის შესახებ დიდი სჯა-ბაასი იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 28 დეკემბერს გამართულ მე-11 პლენუმზე.

პლენუმმა მოისმინა კომკავშირის რუსთავის საქალაქო და თერჯოლის რაიონული კომიტეტების ანგარიშები კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ 1976 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, რომლებიც გააკეთეს საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო და თერჯოლის რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა მ. ასანიშვილმა და ი. ზარნაძემ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის მიხედვით 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების, შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ.

მოხსენებების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ლეკიშვილი, საქართველოს ალკკ ოზურგეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ფილია, ქუთაისის ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხნის მუშა, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი გ. დვალი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. ფატლაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე დ. სარიშვილი, საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი გ. ფიფია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ჩხარტიშვილი, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ფუხაევა, ჭობულეთის რაიონის ონჩხეურის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე მ. გიორგაძე, საქართველოს ალკკ წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ჭორკაშვილი, თბილისის სატყეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი თ. ერუშაძე, საქართველოს ალკკ საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ა. არაბული, პოეტი, ე. ნიკარაძე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სამმანობა ბენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. პლენუმის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ ახალგაზრდობის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

მე-9-11 პლენუმებს შორის პერიოდში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ბაქრაძემ.

პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

კომკავშირული მუშაობის აქტივისტთა ჯგუფს პლენუ

ᲛᲘᲦᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲒ ᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲬᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველის ჯ. კენგსბერი-სმიტის კითხვაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხს. ინტერვიუ იბეჭდება ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით: „ლ. ი. ბრეჟნევი: ბოლო მოვუღოთ გამალებულ შეიარაღებას“, „განიარაღება თანამედროვეობის ცენტრალური პრობლემაა“, „საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობა შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს“.

ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მხრივ მეტად შთამაგონებელი ფესტია, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კინგსბერი-სმიტმა, და, ჩემი აზრით, სწორედ ასე შეაფასებს მას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეული ჯ. კარტერი. ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ესწრაფვის კიდევ უფრო გაუჯობესდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და მომავალ წელს ახალი შეთანხმება დაიდოს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ამერიკელი ხალხი, თქვა დასასრულ კინგსბერი-სმიტმა, ძალიან გაახარა გენერალური მდივნის ხანახლოწლო მილოცვამ და იგი მიიჩნია იმის დადასტურებად, რომ საბჭოთა კავშირს სურს გააუმჯობესოს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას უწოდებს გაზეთი „ბოსტონ ჰერალდ ამერიკანი“ ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს „ვაშინგტონ პოსტი“, აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების უსწრაფესად დადებას. ამასთან განაცხადა, რომ ამ საქმეს, რომელიც მთელ კაცობრიობას ეხება, არასოდეს საბჭოთა კავშირი არ აფერხებდა და არც შეაფერხებს.

უნგრეთის გაზეთი „მადიარ ნ�ზეტი“ აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას მთელი მსოფლიოსათვის.

მივაღწიეთ რა პოლიტიკური მდგომარეობის შენელებას, ხაზგასმით აღნიშნავს ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, საქმიანად უნდა მოვკიდოთ ხელი შეიარაღების შეზღუდვის. აგრეთვე განიარაღების კარდინალურ საკითხებს. 1977 წელი მართლაც გარდატეხის წელი უნდა გახდეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში.

ლ. ი. ბრეჟნევი მოგვიწოდებს ენერგიულად მოვკიდოთ ხელი შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, წერს ინგლისის გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“. საბჭოთა ხელმძღვანელმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი არავის არ ემუქრება და არც არავისზე თავდასხმას არ აპირებს. მითიურმა მუქარამ კი არ უნდა შეგვაშინოს, არამედ საქმიანად, კონსტრუქციულად უნდა განვიხილოთ არსებული პრობლემები და შესაძლებლობანი.

ფრანს პრესის სააგენტო განმარტავს ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს მუშაობა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებაზე, და წერს: საბჭოთა კავშირმა ყურად იღო ის ფაქტი, რომ თეორი სახლის ახალ ადმინისტრაციას ესმის ამ საკითხის აქტუალობა.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ენერალ-ანეიგეერი“, ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მტკიცედ განაგრძოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი გაუჯობესების კურსი, რომელიც შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს, წერს შემდეგ გაზეთი.

ᲐᲡᲙᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡ

ᲙᲐᲠᲐᲩᲘ, (საკდესი). მონტევიდეოდან მიღებული ცნობებით, ურუგვაის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო ურუგვაის ფართო ფრონტის აღმასკომის თავმჯდომარის გენერალ ლიბერ სერენის გასამართლება. მას წაუყენეს „ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევის“ ბრალდება. ასეთი ბრალდება წამოაყენეს იმათ, ვინც დაითხოვა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, შეწყვიტა კონსტიტუციის მოქმედება, აკრძალა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობა, მოქალაქეობრივი უფლებები წაართვა ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს.

გენერალი ლ. სერენი ორჯერ დაპატიმრეს ურუგვაის ხელისუფლებმა. მეორე დაპატიმრების შემდეგ იგი თერთმეტი თვეა საპატიმროში ზის, ერთი საპატიმროდან მეორეში გადაჰყავთ, როგორც მისი ნათესავების ნაამბობიდან ჩანს, პატიმრობაში ლ. სერენს ამბმულებენ, ელემენტარულ სამედიცინო დახმარებაზე უარს ეუბნებიან. მისი ჯანმრთელობა ძალზე შერყეულია.

მთელ მსოფლიოში გაიშალა ურუგვაელი პატრიოტებისადმი სოლიდარობის მძლავრი კამპანია. მსოფლიო საზოგადოებრიობა მოითხოვს ლ. სერენისა და სხვა პოლიტპატიმრების განთავისუფლებას, ურუგვაიმი რეპრესიების შეწყვეტას.

ᲓᲔᲕᲜᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ, (საკდესი). მსოფლიო საზოგადოებრიობის ზეგავლენით პრეტორიის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ პატიმრობიდან გათავისუფლებინათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ვინი მანდელა — სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელის ნელსონ მანდელას ცოლი. ნელსონ მანდელას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს რასისტებმა და ამჟამად მძიმე პირობებშია რობენის კუნძულ-საპატიმროში. ვ. მანდელა დაპატიმრეს მიმდინარე წლის აგვისტოში სოუეტოსა და ქვეყნის სხვა რაიონებში აფრიკელი მოსახლეობის მასობრივი ანტირასისტული გამოსვლების დროს.

საპატიმროში ვ. მანდელას ოიხა თვის ყოფნის დროს ხელისუფლებმა ვერ გაბედეს ოფიციალურად წაეყენებინათ მისთვის რაიმე ბრალდება. მაგრამ პოლიციამ „იხრუნა“ იმისათვის, რომ გინაკისუფლების შემდეგ იგი სავსებით იზოლირებული ყოფილიყო. საპატიმროს ჭიშკართან პოლიციელმა გადასცა მას იუსტიციის, პოლიციისა და საპატიმროების მინისტრის კრიუგერის განკარგულება შინაპატიმრობის შესახებ. ამ განკარგულების შესაბამისად მას უფლება არა აქვს ეწეოდეს რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. განკარგულების დარღვევას მოჰყვება სასამართლო დევნა და ხანგრძლივი ვადით პატიმრობის მისჯა. ვ. მანდელამ წინათ უკვე 10 წელი გაატარა შინაპატიმრობაში.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკდესი). შეერთებულმა შტატებმა ნევადის შტატის პოლიგონზე მოაწყინა მორიგი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. როგორც ენერგეტიკული კვლევისა და დამუშავების სამმართველო იუწყება, ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრე შეადგენდა 20-დან 150 კილოტონამდე ტრინიტროტოლუოლს. ეს უკვე სათვალავით მე-16 მიწისქვეშა ატომური გამოცდა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახდინა მიმავალ წელს.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ:

ᲣᲜᲣᲒᲔᲨᲝ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲒᲜᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲓᲠᲛᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐᲡ

□

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (საკდესი). თემთა ურთიერთობის საკითხის კომისიამ გამოაქვეყნა ყოველწლიური მოხსენება, რომელშიც კვლავ მოუწოდებს ინგლისის მთავრობას გადამწყვეტი ღონისძიებანი იხმაროს ბრიტანეთის კუნძულებზე რასობრივი დისკრიმინაციის აღკვეთისათვის.

სასტიკი ეკონომიური კრიზისი, რომლის კლანჭებში ჩაგლესი მოექცა, ყველაზე მძიმე გავლენას ახდენს ფერადკანიან იმიგრანტებზე. აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან ჩამოსულთათვის განსაკუთრებით ძნელია სამუშაოს შოვნა, დათხოვნების დროს მათ პირველს ერკვევიან ქუჩაში. ისინი „მეორე ხარისხის მოქალაქეებად“ გრძნობენ თავს, როცა სოციალური დახმარებისათვის მიმართავენ ან ბინის შოვნას ცდილობენ.

ამ ბოლო დროს შესამჩნევი გახდა აგრეთვე რეაქციული რასისტული პარტიებისა და ორგანიზაციების აქტივიზაცია, ისეთებისა, როგორიცაა „ეროვნული ფრონტი“. ცდილობენ რა ხალხის ყურადღება ჩამოაშორონ კრიზისის ნამდვილ მიზეზებს, ისინი აწალანდელი ეკონომიური სიძნელეებისათვის ბრალს იმიგრანტებს აკისრებენ.

დისკრიმინაციამ ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ, განსაკუთრებით ეგრეთწოდებული „ფერადკანიანების“ მიმართ, ისეთი მასშტაბი მიიღო ინგლისში, რომ ამან საზოგადოებრიობის მკვეთრი პროტესტი გამოიწვია.

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ

1976 ᲬᲔᲚᲘ ამერიკის შეერთებულ შტატებში საგაფიცვო მოძრაობის ფართო გაქანებით აღინიშნა. ორ მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა თავიანთი უფლებებისათვის, მონოპოლიების მოძალეობის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ „ეკონომიკის დაქვეითების მძიმე შედეგები მშრომელებს დააკისრონ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲗᲘ: რეზინის მრეწველობის მუშათა გაფიცვა. მასში მონაწილეობდა ქვეყნის 23 შტატში მდებარე 40 საწარმოს 70 ათასამდე მუშა.

ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

● ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მიმავალ წელს მილიონობით ფრანგ მშრომელს მოუხდა „ქამრის შემოკერა“. ცხოვრება ქვეყანაში, პროფკავშირული გაერთიანების მონაცემებით, ყოველთვიურად ერთი პროცენტით ძვირდებოდა, რაც საგრძნობლად აღმატებოდა მშრომელი მოსახლეობის ხელფასის ზრდას. უმუშევართა რიცხვმა მილიონნახევარს მიაღწია.

უნუგეშო იქნება ფრანგი მშრომელებისათვის ახალი, 1977 წელიც. უკვე დაანგარიშებულია, რომ 12,7 პროცენტით გაიზრდება გადასახადები, უმუშევრობის ფონე კი 1,7 მილიონ კაცამდე აიწევს.

● ᲠᲝᲛᲘ. „მძიმე დრო მოგველის“ — ასე აფასებენ იტალიის გაზეთები 1977 წელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს. აქ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად გაიხად იტალიის ეკონომიკა ერთ წერტილზე გაიყინება. გაზეთი „უნიტა“ წერს, რომ 1977 წელს კაპიტალდაბანდებანი მრეწველობაში 4 პროცენტით შემცირდება, ინფლაციის ზრდის ტემპი 20 პროცენტს გადააჭარბებს.

● ᲑᲝᲜᲜᲘ. როგორც პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, 1976 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადაუჭრელი დარჩა სამი დიდი პრობლემა: უმუშევრობის ზრდის შემცირება, მშრომელთა გარანტირებული სოციალური უზრუნველყოფა, ახალგაზრდობის პროფესიული სწავლება.

● ᲢᲝᲙᲘᲝ. 1976 წელს იაპონიის ეკონომიკამ, მიუხედავად მთავრობის დაპირებებისა, თავი ვერ დააღწია გაჭიანურებულ კრიზისს. შემცირდა პროდუქციის გამოშვება ისეთ წამყვან დარგებში, როგორიც არის სამთომომპოვებელი, ქიმიური, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, ფერადი მეტალურგია და სხვ. წლეულს 11 თვეში გაკოტრებათა რიცხვმა 14 ათას გადააჭარბა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მომავალ წელს ეკონომიური კონიუნქტურის გაუმჯობესების და საქმიანი აქტივობის ზრდის პერსპექტივები ერთობ უღიმღამოა.

იაპონიაში უკვე მესამე წელია საგრძნობლად იზრდება დანაშაულობათა რიცხვი.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. (საკდესი). ლიბანის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს სხვა არაბული ქვეყნების ხელმძღვანელებთან ქვეყნის ომისშემდგომი აღდგენის საკითხზე.

ლიბანის პრემიერ-მინისტრი ს. ჰოსი კაიროში გაფრინდა, შემდეგ ლიბიას ეწვევა. გამგზავრების წინ მან კვლავ განაცხადა, რომ ლიბანის რეკონსტრუქცია ყველა არაბული ქვეყნის წვლილს მოითხოვს. ქვეყანაში კვლავინდებურად მწვავედ დგას საკითხი იმის შესახებ, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს მძიმე იარაღი ჩამოართვას არაბული ქვეყნების სპეციალურმა ოთხმხრივმა კომიტეტმა. ადგილობრივი პრესა შიშობს, რომ ამ იარაღის ჩამორთმევას შეიძლება გართულება მოჰყვეს იმის შედეგად, რომ მემარჯვენე ქრისტიანული ძალები უარს იტყვიან შეასრულონ ერ-რიადისა და კაიროს თათბირების ეს გადაწყვეტილება.

დამასკოში გაემგზავრა ლიბანის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფუბეტროსი. გაზეთი „ალ-კიფა“ აცხადებს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს სირიის ხელმძღვანელებთან განიხილოს მძიმე იარაღის ჩამორთმევის საკითხი მემარჯვენე ქრისტიანული ძალების მხრივ ამ საკითხისადმი ნეგატიური მიდგომის შესაბამისად, აგრეთვე ლიბანის სამხრეთში შექმნილი მდგომარეობა.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (საკდესი). ინგლისის სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ხილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანთან ლუის კორვალანთან. კომიტეტის თავმჯდომარე, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი შ. შილაევი, საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები ამხანაგ ლ. კორვალანს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში, რომ ჩილელი ხალხის ერთგული შვილის განთავისუფლება მსოფლიოს მთელი დემოკრატიული, პროგრესული ძალების დიდი გამარჯვებაა, რომლებიც იბრძვიან ჩილეში ფაშისტური საგხეღრო ხუნტის მიერ დამყარებული ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

დიდ მადლობას ეუხდი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტის, გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საბჭოთა მთავრობას, ყველა საბჭოთა ადამიანს იმ წელილისათვის, რომელიც მათ შეიტანეს ჩემი და ბევრი სხვა პოლიტიკური პატიმრის გაანთავისუფლების საქმეში, თქვა ამხ. ლ. კორვალანმა.

ლუის კორვალანმა ილაპარაკა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ ჩილელი ხალხის თავდადებულ ბრძოლაზე.

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ მზადება სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებთან საბჭოთა კოსმონავტების ერთობლივი ფრენისათვის. ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლების — მომავალი ფრენის მონაწილეთა პირველი ჯგუფი გულთბილად მიიღეს საბჭოთა კოლეგებმა. როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობა ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მოსამზადებელი ცენტრის უფროსმა ავიაციის გენერალ-მაიორმა გ. ტ. ბერეგოვოიმ, სტუმრები გაეცნენ ცენტრის ლაბორატორიას, ტექნიკურ ბაზას, ტრენაჟერებს. საბჭოთა კოსმონავტებთან ერთობლივ ფრენაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

ამ ბოლო დროს, ხაზგასმით აღნიშნა გ. ტ. ბერეგოვოიმ, ეკრძნობა კოსმოსის ათვისებაში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ტენდენცია. წარმატებით ჩაიარა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივმა ფრენამ „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ხომალდებით. ამ წელზე მეტია სოციალისტური ქვეყნები თანამშრომლობენ „ინტერკოსმოსის“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა, ურთიერთდახმარება და ამხანაგური მხარდაჭერა. ხელოვნური თანამგზავრების გაორმა მოძმე ქვეყნების მეცნიერნობით გაშვებულია ათობით მეტეოროლოგიური რაკეტა, შესრულებულია 20-ზე მეტი ექსპერიმენტი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. „ინტერკოსმოს-15“ თანამგზავრის გაშვება მოასწავებს თანამგზავრების ახალი თაობის — ავტომატური უნივერსალური ორბიტული სადგურების გაჩენას. (საკდესი).

ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ 1977 წლის წინ ბათუმში ჩამოვიდა ვიეტნამელ ინჟინერთა და მუშათა ჯგუფი, რათა ადგილობრივ მანქანათმშენებელ ქარხანაში შეისწავლონ ჩაის ფაბრიკების ტექნოლოგიური მოწყობილობის კომპლექსის დამზადების გამოცდილება. ეს საწარმო ყოველწლიურად ვიეტნამის ჩაის ფაბრიკებს უგზავნის სათადარიგო ნაწილებსა და ახალ მოწყობილობას.

ბათუმში ჩამოსული ჯგუფის ხელმძღვანელმა ინჟინერმა ნგუენ-ბინმა საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ჩვენს ქვეყანაში სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე შეიქმნა საკუთარი ჩაის მრეწველობა. ვიეტნამში უკვე მუშაობს 14 ჩაის ფაბრიკა და ყველა აღჭურვილია ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მარკიანი როლერებით, ჩაის საშრობი ღუმელებითა და სხვა მოწყობილობით. ვიეტნამში გვაქვს ჩაის მანქანების შესაკეთებელი პატარა მექანიკური ქარხანაც, მაგრამ იგი ვიდარ გვაკმაყოფილებს. რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა აშენოს მანქანათსაშენებელი ქარხანა, რომელიც ჩაის ფაბრიკების მოწყობილობას გამოიშვებს.

ექვსი თვის განმავლობაში, რაც აქ ვიმუშაობთ, მანქანების დაპროექტების პრაქტიკას, წარმოების ხელმძღვანელობის ორგანიზაციას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას გაგაცნობენ ბათუმელი ამხანაგები, რომლებთანაც უკვე 20 წელია მჭიდრო მეგობრობა გვაკავშირებს.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

1976 ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲜᲓᲝᲠᲐ

ᲐᲜᲓᲝᲠᲐ ევროპის ერთ-ერთი იმ პატარა სახელმწიფოთაგანია, რომლებზეც ბევრი რამ გვსმენია, მაგრამ არ ვიცით, სად მდებარეობს. მეტ წილ თანამედროვე რუკებზე მისი პოვნა ძნელია. მრავალი წლის მანძილზე საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მდებარე ამ მშვენიერ მთის ქვეყანას არ განუცდია არავითარი გაჭირვება და შიში, რაც ევროპის სხვა სახელმწიფოებს უწუხებიათ. ანდორაში არც არმია, არც სამხედრო ბიუჯეტი, არც საშემოსავლო გადასახადი, არც საგარეო პოლიტიკა, არც სამხედრო კავშირები არ არის. ერთერთ ტურისტულ ცნობარში ნათქვამია: „ანდორაში არასოდეს არ ყოფილა კრიზისები, რადგან აქ არაფერი არ არის ისეთი, რასაც კრიზისის გამოწვევა შეეძლოს“. ანდორა დასავლეთის ეკონომიური ალიანქოთის ოკეანეში რომანტიკული სამყაროს სასწაულია. ასე იყო მიმდინარე წლის ნოემბრამდე. ახლა კრიზისმა ეს პატარა სამთავროც კი მოიცვა და ჩაითრია.

თუ დავაკვირდებით, როგორ გავატარეთ ყველამ 1976 წელი ევროპაში, განსაკუთრებით გვიკვირდა თვალში ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების დიდი განსხვავება. მხედველობაში მაქვს არა იმდენად მატერიალური განსხვავება, რამდენადაც უდიდესი და სულ უფრო მზარდი სოციალური განსხვავება, რაც საზოგადოების ხასიათს ასახავს.

ჩვენს დროში დასავლეთში ადამიანები სულ უფრო ხშირად სვამენ ასეთ კითხვას: „ბოლოს და ბოლოს, სად არის ზღვარი?“ ეს კითხვა გვეკითხა მაღაზიებში, ავტობუსებში, მატარებლებში, ქარხნებში. ხშირად მესმის ეს კითხვა შინაც. ლაპარაკობენ ფასების დაუსრულებელ მატებაზე, უმუშევრობის მაღალ დონეზე, ინფლაციაზე, ჩვენს მორალურ სულისკვეთებაზე, ჩვენს პოლიტიკურ არეულობაზე.

დასავლეთში ყველანი იმედიანად მოველით, რომ „რაღაცას“ ბოლო მოეღება, სოციალისტურ ქვეყნებში კი ადამიანები შეჰყურებენ ბედნიერ მომავალს, რომელსაც მტკიცედ ესწრაფვიან. უწინარეს ყოვლისა ეს არის განსხვავება ჩვენ შორის.

ჩვენთან, დასავლეთში, საშუალება არა გვაქვს ბევრი ვიკითხოთ სოციალისტური ქვეყნების მიღწევებზე. მაგრამ ის ცოტოდენიც, რაც ჩვენამდე აღწევს, გვარწმუნებს, რომ განსხვავება აშკარად სოციალიზმის სასარგებლოდ მეტყველებს. ეს გარკვეულ გავლენას ახდენს ჩვენს საშინაო-პოლიტიკურ განვითარებაზე. მაგალითად, რაც უფრო აქტიურად ახორციელებს საბჭოთა კავშირი დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, მით უფრო აქტიურად იბრძვიან დასავლეთის მემარჯვენე ძალები „ცივი ომის“ დროის დაბრუნებისათვის. ინგლისს კონსერვატიული პარტიის ახალი ხელმძღვანელობა კი, რომელიც მთლიანად „ცივი ომის“ იდეოლოგებისაგან შედგება, არც კი მალავს, რომ სურს თვით დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და ორი სხვადასხვა სისტემის თანამშრომლობის იდეა.

დასავლეთ ხალხს სურს მეტი იცოდეს სოციალისტური ქვეყნების ცხოვრების შესახებ. მაგრამ, ვიმეორებ, არცთუ ბევრი ობიექტური ინფორმაცია ეგზარება ჩვენს „შავ ცენზურას“. არიან პატიოსანი ჟურნალისტები, რომლებიც ახერხებენ ზოგი რამ გვაცნობონ. ხშირად თავადაც მსოფლიოს ამბებიც ცხადყოფს სოციალისტური საზოგადოების შეხედულებებს, რომლებსაც ჩვენ ეს ეგონა. ეს ეხება ეკონომიკურ მიღწევებს, ეროვნულ ურთიერთობებს, ოჯახურ ურთიერთობებს, ბავშვებს, ახალგაზრდობას, ინტელიგენციას, ინოვაციებს, ინფორმაციას, ინფლაციას, ინვესტიციებს, ინფარქტებს, ინფექციებს, ინტერვენციებს, ინტერნაციონალიზმს, ინტერფერენციებს, ინტერესებს, ინტერიერებს, ინტერნატებს, ინტერნეტებს, ინტერლიუდიებს, ინტერმეცოებს, ინტერიუებს, ინტერბიუროებს, ინტერბიენალებს, ინტერბიენალებს, ინტერბიენალებს, ინტერ... ... ...

ალტაის თეატრის სცენაზე

პასალი წლის წინ ალტაის ქალაქ ბარნაულის სამხარეო დრამატულ თეატრში დიდი წარმატებით ჩაიარა პრემიერამ სპექტაკლისა ო. იოსელიანის პიესის მიხედვით „სანამ ურემი გადაბრუნდებოდეს“. იგი დადგა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა დრამატურგიის საკავშირო ფესტივალის პროგრამის თანახმად.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა. მხატვარია ნ. ჯაფარიძე, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ რ. კემულარიას. (საქინფორმი).

„მხედრულის“ წარმატება იაპონიაში

მოსფლიოს ფოლკლორული ანსამბლების ტრადიციულ ფესტივალში, რომელიც ყოველწლიურად იმართება იაპონიაში, მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის დიდი კრებსითი კოლექტივი — სსრ კავშირის ხალხთა ფოლკლორული ცეკვის ანსამბლი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო 12 კაცისაგან შემდგარი მოცეკვავე ვაჟთა ჯგუფი. ეს ორის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „მხედრული“.

ამომავალი მზის ქვეყანაში მიგვიწვია იაპონიის უდიდესმა საკონცერტო ასოციაციამ „მინ ონმა“, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა გ. კობეშავიძემ. — ქართული ანსამბლის საგასტროლო პროგრამაში შეტანილი იყო ორი ცეკვა „ფარიკაობა“ — ამით იხურეოდა პირველი გაწყოფილება და „მხედრული“, რომელიც ამთავრებდა კონცერტს. თვითეულ კონცერტზე ორიეე ქართული ცეკვა ბისზე შესრულდა.

ანსამბლ „მხედრულის“ ცეკვები, — წერდა „მინ ონის“ ასოციაციის ჟურნალი, — საუკეთესოა მთელ პროგრამაში. შესანიშნავი გამოხმაურება დაბეჭდა იაპონურმა „ასაჰიმ“, რომელიც წერდა, რომ ტოკიოს ყველაზე დიდი დარბაზი „ნაკახისან-პლაცა“ მჭუხარე ოვაციით შეხვდა ქართველ მოცეკვავეებს, რომლებმაც ამომავალი მზის ქვეყანაში ქართული სითბო ჩამოიტანეს. შემოქმედებითი მიღწევებისათვის ასოციაციამ ქართველი მოცეკვავეები დიდი სამახსოვრო მედლით დააჯილდოვა.

საახალწლო მედლიები

მთავრდება 1976 წელი, მეათე ხუთწლედის პირველი წელი, რესპუბლიკის მშრომელთა შეუპოვარი გარჯისა და სახელოვან საქმეთა წელი.

კულტურის სასახლეებსა და სახლებში გაცხოველებით ემზადებიან ახალი წლის შესახვედრად.

დიდი საახალწლო ნაძვისხე დადგმება თბილისის გორკის სახელობის კვების მრეწველობის მუშაკთა კულტურის სახლში.

სურათებზე: მარცხნივ — თოვლის პაპა (კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ილია მათიაშვილი) და ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილენი ემზადებიან 1977 წლის შესახვედრად. ზემოთ — მომდინარეობს გივი ჩუთლაშვილის ხელმძღვანელობით ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის ახალი საკონცერტო პროგრამის რეპეტიცია.

ფ. პრმსპმის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს სოფლის მეურნეობა № 12

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ, სპეციალურ-მოზეიმო ილუსტრირებულ ჟურნალს „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

„საბჭოთა მედიცინა“ № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

„საქართველოს ბუნება“ № 12

გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტატეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ბუნების დაცვის“ და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

იცნობდეთ, ჩვენი თანამეშაფშელა

თბილისური ზაფხულის ცხელი დღე შიიწურა. მატარებელი თბილისი-მოსკოვი აღგილიდან დაიძრა... რბილი ვაგონის კუპეში ორი უცნობი კაცი პირისპირ იჯდა. ერთი იყო ბრეგ ქართველი მამაკაცი, მეორე კი მეზღვაური, გენერალისფორმიანი, ახალგაზრდული იერის ვაჟკაცი, რომლის მკერდს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ორი ოქროს მედალი, ორი ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის ორდენი და სხვა მრავალი ჯილდო ამშვენებდა.

ქართველმა მაგიდის გაწყობა დაიწყო. ამოალაგა საგზალი, ხოლო ერთი ბოთლი კონიაკი „გრემი“, თეთრ ქაღალდში გახვეული, თანამგზავრ გენერალს გაუწოდა — ჩვენი ქართული მიწის ბარაქააო. გენერალმა საჩუქარზე თავი შეიკავა — გმადლობთ, ნუ სწუხდებით, მეც მაქვს კონიაკი, მართალია, გრემი არა, მაგრამ მაინც ქართულიო.

— გაქვთ და ღმერთმა მრავალი მოგცეთ, ჩვენ, ქართველებს ოდითგან გვჩვევია სტუმრის პატივისცემა, დიდი მოთაკე ხომ ამასვე გვასწავლიდა: „რასაც გასცემ შენია“.

გენერალს გაეღიმა და იქვე განაგრძო... ქართულად „რაც არა დაკარგულიაო“.

მასპინძელს სიხარულით თვალები ბაუბრწყინდა, თავისი დიდრონი ხელები გენერალს ძველი მეგობარივით მხრებზე მოჰკიდა და მაგიდასთან მიიპატიჟა — ინ სულმნათს ესეც უთქვამს: „სმა-ჭამა დიდად შესარგებიო“ და, როდესაც გენერალმა კვლავ ქართულად დაუმადრა აფორიზმი, მასპინძელმა ხელი ხელზე მოუჭირა.

— გავიცნოთ ერთმანეთი. მე ქართველი პოეტი გიორგი, გოგლა ლეონიძე გახლავართ.

— მე კი ქართველი ავიაკონსტრუქტორი გიორგი მიხეილის-ძე ბერიშვილი გახლავართ, ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან. რუსეთში ბერიევად მიგნობენ. სეხნიერიც ყოფილვართ.

— შენ კი გენაცვალე, შენა, ვაკაცო! — დაიბუბუნა გოგლამ და გიორგი დიდი ხნის უნახავი ძმასავით მკერდში ჩაიკრა. გამაცანით თქვენი ამბავი, გზა დიდია, მომიყვეთ რისი მოყოლაც შეგიძლიათ. ვინ იცის, იქნებ ჩემი პოემის პერსონაჟი გახდეთ.

— ჩემზე დაწერილი პოემა, მხატვრული ვერ გამოვა, პატივცემულო გოგლა, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება სულ სიძნელეთა დაძლევაში გავატარე. აბა რა ბედი უნდა დამყოლოდა 1903 წლის 13 თებერვალს, დარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულ ბიჭს. 13 რიცხვი ხომ უიღბლოდ ითვლება...

— 16 წლისამ თუჯის ჩამომსხმელ ერთ პატარა ქარხანაში შეგირდად დავიწყე მუშაობა, — განაგრძობდა ახლადგაცნობილი, — 18 წლისა კი მოსალისად წავედი პირველ ქართულ პოლკში. იქიდან განსაკუთრებული განიშნულების ნაწილების შტაბში გადმიყვანეს. ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში ვიცოდი, რომ თბილისის იპოდრომზე თვითმფრინავით დაფრინავენ პირველი ქართველი მფრინავები ალექსი შიუკაშვილი და ბესარიონ ქებუთია, რუსები — სერგეი უტოჩკინი და პეტრე ნესტეროვი. ჰაერში ფრენა მაშინ ჯერ კიდევ ფანტასტიკას წარმოადგენდა და მეც ბავშვობიდან დავიწყე მასზე ოცნება. 1923 წელს მიწვეული ვიყავი ამერიკაკავასიის საჰაერო ფლოტის მეგობართა პირველ საორგანიზაციო კრებაზე, რომელსაც ჯარების სარდალი ალექსანდრე ეგოროვი ხელმძღვანელობდა. იმავე წელს ვიადე მოვხვედრილიყავი საფრენოსნო სკოლაში, მაგრამ ამაოდ, რადგან ამერიკაკავასიის კომკავშირის რაიკომის ერთადერთი საგზური ბოლო მომენტში უფრო იღბლიანს შეხვდა. 1924 წელს არმიიდან დემობილიზების შემდეგ შევედი თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, ხოლო ერთი წლის შემდეგ გადავედი ლენინგრადის მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იქ გემთმშენებლობის ფაკულტეტზე 1928 წელს შეიქმნა საავიაციო განყოფილება. ჩვენი ფაკულტეტიდან დაწინაურდა ბევრი ახალგაზრდა, მათ შორის საბჭოთა ავიაციის გამოჩენილი მოღვაწენი.

გელი კაცისა...

1930 წელს დავამთავრე ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და დამტოვეს ასპირანტურაში, მაგრამ მე უფრო საკონსტრუქტორო საქმე მიტაცებდა, ვიდრე სასწავლო-პედაგოგიური შემოქმედება. ამიტომ ჩემი თხოვნით გამიშვეს საზღვაო თვითმფრინავშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროში. ამ ბიუროს ხელმძღვანელობდა საფრანგეთიდან მოწვეული ავიაკონსტრუქტორი პოლ ემა რიშერი.

როცა საავიაციო ფაკულტეტზე სტუდენტობის პერიოდს ვიგონებ, მაგონდება, თუ რა ძლიერი ვიყავი საერთო თეორიულ მომზადებაში, რაც მე ობილისის ინდუსტრიული ინსტიტუტიდან თან წამყვა. რა დამავიწყებს გამოჩენილ მათემატიკოსების ანდრია რაზმაძის და ნიკოლოზ მუსხელიშვილის ამაგს. სწორედ მათგან მიღებულმა საუკეთესო თეორიულმა მომზადებამ შემაძლებინა ის, თუკი რამ გავაკეთე სამამულო ავიაციის განვითარებაში.

ეს იყო პირველი ხუთწლედების დასაწყისი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად დაიწყო ახალი საავიაციო ქარხნების ინტენსიური მშენებლობა. ამ ფრიად დიდი დამსახურება მიუძღვის მძიმე ინდუსტრიის სახალხო კომისარს — სერგო ორჯონიკიძეს, რომლის ენერგიულმა მოღვაწეობამ ავიაციის მშენებლობას მაშინვე ფართო ინდუსტრიული გაქანების შესაძლებლობა მისცა.

მთავრობის გადაწყვეტილებით საბჭოთა ავიაციორების ჯგუფი კაპიტალისტური ქვეყნების ავიამრეწველობის გასაცნობად საზღვარგარეთ გგზავნეს, მათ შორის — ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი კოჩერგინი, ავიაქარხნის დირექტორი მურაშოვი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი განუილი და მე. ჩვენ დავთვალიერეთ და გავეცანით კაპიტალისტური სამყაროს ავიამრეწველობას და მეცნიერულ დაწესებულებებს. ვიყავით იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, შევხვდით და ვესაუბრეთ გამოჩენილ ავიაკონსტრუქტორებს...

ახალგაზრდა ინჟინერ-კონსტრუქტორი მოელეკარებს ვერ ფარავდა. აგონდებოდა ბოლო ორი წლის დაძაბული დღეები. ადვილი როდი იყო ახალი ტიპის საზღვაო მზვერავის ეგზემპლიარის შექმნის უფლება მიეღო, თუნდაც იმიტომ, რომ მთავრობის კომისიამ მანამდე უკვე სამჯერ დაიწუნა მსოფლიოში აღიარებულ კონსტრუქტორების მიერ შექმნილი საზღვაო მზვერავი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ეჭვის თვალით შეხედავდნენ ახალგაზრდა ინჟინრის ინიციატივას, რომელმაც სულ ორი წლის წინათ დაიცვა დიპლომი.

ოცი დღის განმავლობაში შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა პიდროთვითმფრინავის საზღვაო და საფრენოსნო გამოცდა. გამოცდა მან ბრწყინვალედ ჩაბარა. მანქანა როგორც ზღვაზე, ისე ჰაერში მყარად მუშაობდა. სიჩქარე, ტვირთნიდვა და ფრენის სიმაღლე სავსებით შეესაბამებოდა მის ტექნიკურ, ტექნიკურ მონაცემებს და მოთხოვნებს.

1934 წელს გიორგი უკვე ერთ-ერთი საავიაციო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორია და ამავე დროს სპეციალიზებული საცდელი საზღვაო გემთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი და მისი ჩამომყალიბებელი. გიორგიმ ამ ბიუროში მიიწვია ახალგაზრდა პიდროთვითმფრინავმშენებელი ენთუზიასტები, ვისთან ერთადაც აუმჯობესებდა პირმშოს ტექნიკურ საფრენოსნო ხარისხს, ქმნიდა მის სხვადასხვა ვარიანტებს და მოდიფიკაციებს, ახალ მანქანებს.

და აი ერთ-ერთი თვითმფრინავის შექმნისათვის გიორგი ბერიშვილს 1947 წელს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. ერთი წლის შემდეგ კი ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ერთიანი ლითონკონსტრუქციის მრავალმიზნობრივი თვითმფრინავი „ამფიბია ბე-8“. მისი, როგორც კონსტრუქტორის დიდ გამარჯვებად თვლება აგრეთვე რეაქტიული ორძრავიანი მფრინავი ნავი „რ-1“, რომელიც მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ხოლო მისი მოდიფიკაციით, აეროფლოის ძრავით მფრინავებმა ა. ანდრიევსკის და გ. გურიანოვმა 1961 წელს 12 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს...

გიორგი ფიქრებიდან გამოერკვა, გოგლამ თვალებში შეხედა, ეტყობოდა რაღაცის თქმა უნდოდა და შესაფერის სიტყვას ეძებდა. გიორგი მიუხვდა და გაამხნევა:

— ბრძანეთ, ბატონო გოგლ, თქვენ რაღაცის თქმა გსურთ.

— თუ ზედმეტ ცნობისმოყვარეობაში არ ჩამთვლით, ამიხსნით, რას გულისხმობდით, წეღან რომ ბრძანეთ, ჩემი ცხოვრების გზა ძნელი და წინააღმდეგობებით სავსე იყოო.

— დიდი სიამოვნებით. ცხადია, ყველაფრის მოყოლა შიძლებელია, ამიტომ მოგიყვებით მხოლოდ ორ შემთხვევას. 1932 წელს, როდესაც სახელმწიფო კომისიამ ჩემი კონსტრუქციის ანლო მზვერავი მოიწონა და მიიღო სერიული გამოშვებისათვის, ეს მარტო ჩემი, როგორც ახალგაზრდა კონსტრუქტორის დიდი გამარჯვება როდი იყო, არამედ მთელი ჩვენი დიდი კოლექტივისა და განსაკუთრებით კომკავშირული ორგანიზაციისა. მოგეხსენებათ, თუ რა დიდი ენთუზიასტები არიან კომკავშირელები. დღე და ღამ არ ისვენებდნენ და არც სხვას ასვენებდნენ, რათა თავის დროზე დამზადებულიყო ესა თუ ის აგრეგატი.

უნდა გენახათ რა დიდი სიხარული ზეიმობდა თვითეულის სახეზე, როდესაც თვითმფრინავი ძალიან მოკლე დროში დამზადდა და კომისიამ დადებითი შეფასება მისცა მას. მაგრამ ჩვენი დიდი სიხარული ნაადრევი გამოდგა. ჩაერიენენ ძალები, რომლებმაც დამკვეთის უარი ათქმევინეს ჩვენი თვითმფრინავის მიღებაზე.

ალბათ წარმოიდგენთ, რა დიდი დარტყმა იყო ეს ჩვენთვის, ყველასათვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც გრძნობ, რომ მართალი ხარ და ძალა არ შეგწევს წინ აღუდგე უფლად მავნე ძალას, რომელიც სიმართლის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ჩვენ ბევრ რას გავდგებოდით, მაგრამ სამშობლოს ერთგული შვილები — საბჭოთა კავშირის საავიაციო მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსმა პეტრე იონის-ძე ბარანოვმა და საბჭოთა საავიაციო მრეწველობის თვალსაჩინო ხელმძღვანელმა — „ცაცი“-ს ყოფილმა უფროსმა ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხარლამოვმა ხმა აღიმაღლეს სიმართლის დასაცავად.

1933 წლის აგვისტოში ი. ბ. სტალინმა პირადად ჯანხილა საბჭოთა პიდროავიაციის განვითარების საკითხი და ს. ვ. ილიუშინთან ერთად გადაწყვეტილება მიიღო თვითმფრინავის სერიული გამოშვების თაობაზე. სწორედ ამ და სხვა მრავალმა სწორმა გადაწყვეტილებამ მისცა საშუალება ჩვენს ქვეყანას უარი ეთქვა ძვირად ღირებული პიდროთვითმფრინავების საზღვარგარეთიდან შემოტანაზე.

მოგიყვებით ერთ შემთხვევასაც. 1961 წელს სამხედრო საბჭო იხილავდა ერთი ჩვენი კონსტრუქტორის ახალი საბრძოლო თვითმფრინავის კონსტრუქციის დანერგვის საკითხს. ეს კონსტრუქცია მოიწონეს, თუმცა ვადაწყვეტილება მსჯელობას თითქმის არც კი დაქვემდებარება. ბოლოს მეც მკითხეს აზრი. ამ კონსტრუქციას თვითმფრინავის შექმნა სახელმწიფო სახსრების წყალში გადაყრას ნიშნავდა, ამიტომ განა შემეძლო არ მეთქვა სწორი აზრი, რასაც თავმჯდომარის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პირად შეურაცხყოფაზეც კი გადმოვიდა.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო. მან მითხოვა სიტყვა და განმარტა, რომ ამა თუ იმ ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავის დნერგვისათვის პასუხისმგებელი და კომპეტენტური არიან მთავარი საავიაციო საკონსტრუქტორო ბიურო და მისი სპეციალისტები. მან აღნიშნა ისიც, რომ ჩემი შენიშვნები ყურადსაღები იყო. აჩქარება არ ივარგებდა და დაე სპეციალისტებმა ერთხელ კიდევ გულდასმით და დეტალურად გაანიხილონ აღნიშნული მოდელი და შემდეგ სხდომაზე წარმოადგინონ თავიანთი დაზუსტებული წინადადებანი.

ცხადია, შემდეგ კომისიამ მოდელი დაიწუნა. ლეონიდ ილიას-ძის მიერ საკითხის მართებულად და პრინციპულად დაყენება რომ არა, ამ მოდელის შექმნით სახელმწიფო მრავალი მილიარდი მანეთით დაზარალდებოდა...

ასე გაიცნეს ერთმანეთი ორმა გიორგიმ — დიდმა პოემამ და გენერალმა.

გიორგი ბერიშვილი ვერ გატეხა ვერც მძიმე ავადმყოფობამ, რომელმაც დიდი ხანით მიაჯაჭვა სარეცელს და ვერც ცხოვრების გზაზე შეხვედრილმა წინააღმდეგობებმა. იგი ღღესაც მწყობრშია — რაკი მთელი ცხოვრება და ოციანი წლების კომკავშირელის მგზნებარე გული საშობლოს ძლიერებისათვის მიუძღვნია.

ი. ტატიშვილი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — გ. ბერიშვილი, რეაქტიულ-პიდრორეაქტიული თვითმფრინავი.



ფელეტონი

საღაური წესია?

მეზობელმა დამპატიჟა, ჰქონდა ბავშვის ნათლობა,
და მეც დაფასებისათვის გადვუხადე მადლობა.
ცოლმა მითხრა: თუ არ გინდა, წუწურაქა დაგვარქვას,
თუ არ გინდა სამუდამოდ იმ ოჯახის დაკარგვა,
სიჩუქარი მივუტანოთ ისეთი, რომ გაგიუდეს,
საბოლოოდ, ხომ იცი, რომ მიტანისთვის გვპატიუებს?
რადგან კარის მეზობლების კარგად ვიცით ჩვენ ფასი,
ერთ ნათლობას შეეწირა თითქმის ჩემი ხელფასი,
თან ისეთი ღვინო მასვა (რა ვქნა, უნდა დავძრახო)
მეორე დღეს ჩემსას სამჯერ მოგრიალდა „ხასწრაფო“.
შეიკივლეს, შეიცხადეს, ყველა შემომეხია,
ძმარ-შაქარ-წყლით კაცის მოკვლა სადაური წესია...
ერთ მეგობარს ზესტაფონში ავად ჰყავდა ბებია,
ხაწყალს დახძინებია და აღარ გაღვიძებია.
გასვენებას დავესწარი (იქაც ჩაველ ჩემს ჭირად)
ვიღაც კაცთან მიმიყვანეს, ხელში ხია ეჭირა.
რამდენს სდებო, — შემეკითხნენ, მე გავბრაზდი, ავყვირდი:
არ გრცხვენიათ, ფულს თხოულობთ? გამოდის, რომ მკვდარს ჰყიდით!
გაიცინეს, მითხრეს: ძმაო, ეს ვალი და ხესხია!..
გაგონილა? მკვდრით ვაჭრობა სადაური წესია!
ეს, ჯანაბას, მეგობრისთვის შემიწირავს ის ფული,
მე თუ გულში წყენა დამრჩა, ჭირისუფალს — „უიგული“...
გრძელ სეფაში თამადებად დადგნენ „ძველი მსმელები“,
სადღეგრძელო წამოიწყეს გარდაცვლილის ხსენებით,
მერე მიცვალებულების აღარ ჰქონდათ დარდი მათ
და ქელეხი ერთ საათში გადაიქცა ნადიმად...
„გთხოვთ მეწვიოთ, ქორწილი მაქვს შაბათს ჩემი ხუტასი,
ხალხი ცოტა მეყოლება, ასე კაცი ხუთასი“.
ეს ბარათი რომ მივიღე, შევკუხდი და დავღონდი,
რა ქორწილიც იქნებოდა, უკვე ვგრძნობდი ალღოთი,
ხუთთუმნიანს შეველიე, ვიყავ ნეფის მაყარი...
სუფრა ვნახე, ო, რა სუფრა! — ბრძოლის ველის მაგვარი,
იყო ერთი ღრიანცელი, ჩხუბი, აყალმაყალი...
ტიკივით რომ მიყრდნობოდა სუფრას კაცი მაღალი
ჩემზე ბრძანა: შეასვითო, სანამ ამოთესია...
ნეტავ ღვინის დაძალება სადაური წესია?
არ მომეშვნენ, დამაფიცეს, ცოლი, შვილი, ძმაკაცი...
ღილით სახლში ოთხმა კაცმა მამიტანა საკაცით.
მაშ რისთვისღა ჰქვია ჩვენში სუფრას აკადემია,
ნუთუ ზოგი მავნე ჩვევა ასე გადამდებია?
შევარცხვინე ყველა ბრიყვი (რა ვუწოდო სხვაგვარად),
ვინც ლენინს და ჭირის წესი ასე გადაგვარა.

ვანო ციცაკაძე.

სპორტული არდადეგები

დასვენებისა და გართობის პერიოდი დაუდგათ მოსწავლეებს — ათდღიანი ზამთრის არდადეგები.

— გვინდა, რომ ეს დეკადა ჩვენი გოგო-ბიჭებისათვის ნამდვილად სპორტული გახდეს, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ო. კალაძემ. — არდადეგების დღეებში განზრახული გვაქვს ჩვეულებრივი საჩვენებელი და ამხანაგური ასპარეზობანი სპორტის სხვადასხვა სახეობებში, შეხვედრები ცნობილ სპორტსმენებთან, შთ-ს ნორმატივების ჩაბარება და სხვ.

აი სპორტული არდადეგების კალენდარი: **4 და 5 იანვარს** ცენტრალურ და სასწავლო ველოტრეკებზე გაიმართება ღია შეჯიბრებები ველორბოლებში, **5 იანვარს** ძალოსნობის დარბაზში (ავაზაძის პრ., 49) თავიანთი ძალა შეეძლიათ სცადონ ნორჩმა შტანგისტებმა, **5-6 იანვარს** საჭიდაო დარბაზში (ორჯონიკიძის ქ. 38) დანიშნულია „ოქტიდავის დღეები“, ხოლო ჭაღრაკის სასახლეში დიდი ბლიც-ტურნირი ჭადრაკში, **5-9 იანვარს** ს. კიროვის სახელობის პარკში გაიმართება შეჯიბრება ეზოს ვუნდების შორის მინი-ფეხბურთში, **5-7 იანვარს** სპორტსზოგადოება „დინამოსა“ და სპოტკომიტეტის კორტებზე დანიშნულია „ჩოგბურთის დღეები“ — ნორჩ ჩოგბურთელთა ღია ტურნირები, **9 იანვარს** ცენტრალურ საფარიკაო დარბაზში ჩატარდება „მოფარიკავის დღე“, ხოლო ლენინის სახელობის სპორტდარბაზში „ღია რინგის დღე“. შთ ნორმატივების ჩაბარება იწარმოებს **7 იანვარს** — სროლაში („დოსაფის“ ტირი, გორგასლის ქ., 4ა), **8 იანვარს** — მძლეოსნობაში (გნათლების განყოფილების დახურული მანეკი — ორჯონიკიძის ქ., 52) და **9 იანვარს** — კურვაში (საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზი).

გარდა ამისა, მრავალი მოსწავლე გაეგზავრება **ბაკურიანში**, სადაც არდადეგების დღეებში გაიმართება სხვადასხვა ასპარეზობა.

„ბარინგინია“ — ახალი „ვარსკვლავი“

ბრაზილიელი მწვრთნელები და სპორტული ჟურნალისტები ერთხმად ალაპარაკდნენ ფეხბურთის ახალ „ამომავალ ვარსკვლავზე“ — 15 წლის ნენგმზე, რომელიც სახელგანთქმული გარინჩას სამშობლოდან, პატარა ქალაქ პაუგარანდიდან არის.

ეს სუსტი, დაბალი ბიჭუნა, როგორც ადგილობრივი რეპორტიორები წერენ, ფეხბურთის მოედანზე ნამდვილ საოცრებას წარმოადგენს. თამაშის სტილით და გარეგნობითაც იგი ძალზე წააგავს გარინჩას. გულშემატკივრები მას „პატარა გარინჩას“ ანუ „გარინჩინიას“ უწოდებენ.

მაგრამ ნენგმის კერპი, როგორც თვითონ ამბობს, ჟაირზინიო გახლავთ. ნორჩი ფეხბურთელი. ცდილობს ყველაფერში მიბაძოს მას.

ახალი ვარსკვლავით უკვე დაინტერესდა ბრაზილიის წამყვანი კლუბი „ფლუმინენსე“. სულ მალე ნენგმს ჩარიცხავენ ამ კლუბის ჭაბუკთა გუნდში. (საკდესი).

„ბაკურიანი“

ბაკურიანი, 13 საათზე დასავლეთ საქართველოში ყველგან მშრალი ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 9-11, მთებში 4-6 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში წვიმდა, მთებში თოვდა. ყველაზე მეტი სითბო — 6 გრადუსი გორში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 3-5 გრადუსი სითბო. მთებში ნული-სამი გრადუსი ყინვა აღინიშნა.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 5 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უმეტესად მშრალი ამინდია მოსალოდნელი. რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ძლიერი ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 8-12, მთებში ნული-ხუთი გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, აღმოსავლეთ რაიონებში მცირე ნალექი, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 1-6 გრადუსი სითბო, მთებში ამდენივე გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, მცირე ნალექი და ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 3-5 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

გ. ონაშვილს — უმაღლესი ოდენა

მოსკოვი, 29 დეკემბერი. (საკდეხი). სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილებით ცნობილი ძიუ-დოისტს, 29 წლის თბილისელ გივი ონაშვილს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ონაშვილი არის ევროპის სამგზის ჩემპიონი, მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობისა და 1969 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი.

ამოკლედ

ხელბურთი. კაუნასში დამთავრდა ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები, მოსკოვის გუნდები — მაი და ცსკა. ანგარიშით 26:21 გაიმარჯვა მაი-მ და სათავეში ჩაუდგა საკუთნირო ცხრილს — 20 ქულა. მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ცსკა და თბილისის „ბურევესტნიკი“ — 17 ქულა თვითეულს.

კალათბურთი. ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე რიგის სკა-მ თავის მოედანზე წააგო ცსკა-სთან — 82:114 (46:62), ხიკოლაევში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დაამარცხა მინსკის რტი — 102:101 (51:58). გუშინ კაუნასში ადგილობრივმა „ელგერისმა“ დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ — 95:90.

ჭიკჭი. სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა ქალაქ ცინცინატში (ჩრდილოეთი ამერიკა) ტურნეს მეორე მატჩში დამარცხა „ცინცინატი სტინგერსი“ — 7:5.

თანამედროვე ხუთჭიდი. თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ორა პირველობა საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზზე. ტურნირში გამოდიოდნენ საქართველოს, სომხეთის (ორ-ორი) და ლატვიის გუნდები. სპორტსმენები ასპარეზობდნენ მხოლოდ ტექნიკურ სახეობებში — ფარიკაობაში, სროლასა და საცხენოსნო სპორტში. გამარჯვება ჩვენი რესპუბლიკის პირველმა გუნდმა მოიპოვა.

ბადრაკი. შვიდი ქულა რვა შესაძლებლიდან — ასეთი შედეგი აქვს ჭაბუკთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის ლიდერს, ალმაათელ ევგენი ვლადიმიროვს. მეშვიდე ტურში მან დაამარცხა ოორგ ვაიდემანი (გფრ), მერვეში — ყიბიოთ დაამთავრა პარტია ვარი შუსლერთან. გრონინგენის ტურნირის დამთავრებამდე ხუთი ტური დარჩა. ე. ვლადიმიროვს თითო ქულით ჩამორჩებიან მარკ დისენი (აშშ), ლუბოშ ფტაჩნიკი (ჩეხოსლოვაკია) და შუსლერი.

შაშე. 27 წლის მოსკოველმა ელენე მიხაილოვსკაიამ ამსტერდამში დამთავრებულ ტურნირზე მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ასუჯრედიან შაშში. უკანასკნელ ტურში მან დაამარცხა პოლანდიელი პუმპე.

16 წლის მოსწავლემ ევგენი სკლიაროვმა (ნიკი ტაგილი) გაიმარჯვა იუნიორ მოშაშეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ამსტერდამში.

„სპორტლოტო“

გაცნობებთ „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 52-ე ტირაჟის შედეგებს, რომელიც 29 დეკემბერს გაიმართა:

„**სპორტლოტო**“ — 23 (მძლეოსნობა), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 41 (ჩოგბურთი), 38 (მშვილდოსნობა), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 8 (კრივი);

„**სპორტლოტო-2**“ — 31 (ცურვა), 16 (ტანვარჯიში), 4 (მთამსვლელობა), 25 (თხილამურები — ტრამპლინი), 26 (მოტობურთი), 30 (საიალქნო სპორტი).

(საკდესი).

ტელევიზია

31 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — ლილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო „იჩქარე ჩვენსკენ — თოვლის ბაბუ“. საახალწლო კონცერტი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ტალინიდან), 11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ველმაძღარის თავგადასავალი (II სერია) პრემიერა — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.10 — სატელევიზიო ფილმი „მაღვიძარა“, 12.50 — მხატვრული ფილმი „სიმფონიის ატესტატი“, 17.00 — სპორტული პროგრამა „მორრეალი-76“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო „საახალწლო“ — ფერადი გამოსახულებით, 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.00 — „ს